# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 ივლისი, 2009 წელი.

№ 140 (6241)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# „გენას“ „ვასმიორკები“ „დიდი რვიანის“ სამიტზე



„მხარდამჭერი“ ბერლუსკონი



„დიდი რვიანის“ სამიტს „ვასმიორკა“ დიახაც უხდება!



გამიშვით, მართლა მთვრალი კი არა ვარ, დალეული ვარ, დალეული!

**ბაბუაჩემს გენა ერქვა, მამაჩემს გენა ჰქვია, მეც გენა ვარ! – ასეთია ჩვენი გენეტიკა!**

აი, ასე „ხატოვნად“ და ლაკონურად აღწერს თავის გენეალოგიურ ხეს დღევანდელი რუსი გენა. და ამ აღწერაში, როგორც წვეთში ოკეანე, ისე აისახება ფაქტობრივად მთელი რუსი ერის გენეტიკაც!

სწორედ ამ „ეროვნული გენეტიკის“ დამსახურებაა, რომ რუსი მუდამ „გენაა“, გლეხი იქნება იგი თუ თუნდაც პრეზიდენტი ელცინი, რომელსაც შეეძლო, ისე გამომტყვრალიყო საპრეზიდენტო თვითმფრინავში, რომ სამშობლოსკენ მიმავალს დუბლინში მის დასახვედრად ჩამწკრივებული მასპინძლებისთვის თუნდაც ხელის დასაქნევად ტრაპზე გამოსვლაც ვერ შეძლებოდა!

ამჟამინდელი პრეზიდენტი მედვედევიც ხომ „გენაა“, რუსია!

ჰოდა, მანაც მოხაზა „ვასმიორკები“ „დიდი რვიანის“ სამიტზე!

პირადად მისთვის და მთელი რუსეთისთვისაც კიდევ კარგი, რომ მედვედევს სამიტზე მხარ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა-გაგებით) **დამჭერი** გამოუჩნდა, თორემ...

თუმცა, რომც არ გამოსჩენოდა, წამომდგარს ან წამოყენებულს შერცხვებოდა თუ რა?!

ისიც ხომ „გენაა!“


„დღევანდელი ჯარი ქვეყანას ვერ დაიცავს“ 3

ჟურნალისტთა „ოსკარის“ ახალი ლაურეატები 5





რატომ და ვისგან ზურგგამაგრებული თვითნებობს „ყაზტრანსგაზი“, რომლის თავგასულობისგან მოსახლეობის დასაცავად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მომხმარებელთა უფლებების დამცველ კომისიას ქმნის 2

ოცდაჩვიდმეტმა წელმა 2 მოგვიკაკუნა?





ვინაა საქართველოში ყველაზე „ზემდგომი პირი?“

პარტიებსა და მოძრაობებში

# „დაიცავი საქართველო!“ – საქართველოს დასაცავად

**„ჭკუით ქართველებო, დაიცავით საქართველო!“ – ამ სიტყვებით მთავრდება ჭაბუა ამირეჯიბის მიმართვის ტექსტი, რომელიც მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემ წაუკითხა „ათონელზე“ შეკრებილ საზოგადოებას.**

თეატრის პატარა დარბაზი ხალხს ვერ იტევდა, მათ შორის უამრავ ჟურნალისტს, რომლებიც თვეზე მეტია სულმოუთქმელად ელოდებიან ლევან გაჩეჩილაძის საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას. და, როგორც იქნა, თანამოაზრეებთან ერთად ოპოზიციის ერთ-ერთმა აქტიურმა ლიდერმა ეს შესძლო. მან სულ ორ სიტყვაში – „დაიცავი საქართველო“! – მოაქცია თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი და საერთო, საყოველთაო, სახალხო მოძრაობა დააფუძნა. ათონელის სცენა დიდი საზოგადოებრივი მოძრაობის საპრეზენტაციოდ ძალიან პატარა აღმოჩნდა.

დავით მაღრაძემ რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვა „საზოგადოებრივი“ და მედიას მოუწოდა ამ



სიტყვისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. მართალია, სიტყვა „პოლიტიკა“ არსად ერია, მაგრამ მოძრაობა სწორედ ახალი არჩევნებისთვის მოსამზადებლად შეიქმნა. საინიციატივო ჯგუფში ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანია: **ჭაბუა ამირეჯიბი, ზაზა აბაშიძე, რეზო ესაძე, დავით მაღრაძე, გოგა ხაინდრავა, ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე, გია ყარყარაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნონა გაფრინდაშვილი, დიმა ჯაიანი, ბიძინა კვერნაძე, რობერტ სტურუა, ნინელი ჭანკვეტაძე და სხვები.**

ამ საზოგადოებრივი ჯგუფის ერთსულოვანი თხოვნით თავმჯდომარედ **მზეჭაბუკ ირაკლის ძე ამირეჯიბი** დაასახელეს. როგორც იქ ითქვა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაეხმარება პოლიტიკურ პარტიებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ქალბატონმა ნინელი ჭანკვეტაძემ განსაკუთრებულად აღნიშნა ისიც, რომ არა მხოლოდ უნდა დაეხმაროს, არამედ ოპონირებაც უნდა გაუწიოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ბელადომანია.

ჩუმად იყვნენ ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა, რომელთა ქარიზმას ჩვეული ჟურნალისტები ამ დუმილმა დაგვაბნია კიდეც. სცენაზე მათ გვერდით იდგნენ „გრეჩიხას“ საძმაკაცო, ახალგაზრდული საპროტესტო ორგანიზაციის წარმომადგენლები...

შეხვედრა გაჩეჩილაძის კომენტარის გარეშე დამთავრდა, თუმცა მან პრესისთვის ცალკე გააკეთა განცხადება: **„ჩვენ შევალთ კოორდინაციაში ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომლებიც სხვადასხვა ფრონტიდან შეუტევენ ხელისუფლებას. გადაწყვეტილების მიღებაში კი ერთიანი ვიქნებით“.**



ორშაბათიდან პეტრიაშვილის ქუჩის 18-ში დაიწყება რეგისტრაცია და ყველა მსურველის ამ ორგანიზაციაში გაწევრება შეიძლება, ხოლო როცა მოქალაქეთა რაოდენობა 100 ათას მიაღწევს, საზოგადოებრივი მოძრაობაც ოფიციალურ და დიდ ყრილობას გეგმავს. გაჩეჩილაძის ვარაუდით, ალბათ, სტადიონზე. მოკლედ, ყველაფერი გადაწყვეტილია და ინფორმაციაც აბსოლუტურად ღია და საჯაროა, ერთის გამოკლებით: არავინ იცის, ვინ ეხმარება მოძრაობას ფინანსურად. არც ამის დამალვას აპირებენ, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით...

შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, რა საჭირო იყო მოძრაობის დაფუძნება, როცა იქ ისევ ის ადამიანები იყრიან თავს, ვინც მიტინგზე ისედაც ყოველდღე დგანან? მავანნი ამბობენ, რომ მხოლოდ ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად. პოლიტიკურ პარტიების დაფინანსებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი მოძრაობის შემოსავლების კონტროლი ხელისუფლების ცენზურით ვერ მოხერხდება. გაჩეჩილაძემ ამ გზით „ევროპიდან შემოსულ ფულს“ ლეგალური მხარე მო-



უგვარა, რადგან საზოგადოებრივი მოძრაობის ანგარიში კანონის ძალით ხელისუფლების მკაცრი კონტროლისგან თავისუფლდება.

**რაც შეეხება ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილს, მას თუ ვკითხავთ, ალბათ, პასუხად იტყვის, რომ საქართველოს სწორედ ამ ხალხისგან დაცვა სჭირდება, რადგან „გრეჩიხას“ უკან, როგორც ამტკიცებს, კახა თარგამაძის ბინძური ფული დგას.**

**მოკლედ „დაიცავი საქართველო“, როგორც იქნა, დაფუძნდა. ხოლო დრო და მომავალი თავად გამოაჩენს, დაცვა ვის ვისგან სჭირდება...**

**თეა მოსია**



ამასაც მოვესწარით!

# ოცდაჩვიდმეტმა წელმა მოგვიკაკუნა?

## ვინაა საქართველოში ყველაზე „ზემდგომი პირი?“

**ეტყობა პრეზიდენტიც ძალზე გავანაწყენეთ და პარლამენტარებიც – ხალხი ქვეყნის აღმშენებლობაში ხელს გვიშლისო! არადა, აღმშენებლობა ხალხისთვის ადვილი დასანახი არ აღმოჩნდა, რადგან მათი უდიდესი ნაწილის ყოფა-ცხოვრება იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ უკვე მეოთხე თვეა საპროტესტო გამოსვლები არ წყდება.**

განაწყენება ასე არ უნდაო და პოლიციელებს მოსახლეობის ცემა-ტყეპის უკიდეგანო უფლებების და ხალხის პროტესტის გამოხატვის შეზღუდვის კანონები სასწრაფოდ ამოქმედდა. თუმცა, კანონების გამკაცრება ხელისუფლებას რას არგებს, თუ ხალხის ერთი ნაწილი „დამსმენებად“ და „აგენტებად“ არ გადააქცია?

სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 12 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება **„საჯარო სამსახურის შესახებ“** საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე.

ამ კანონს დაემატა თავი VI **„ქცევის ზოგადი წესები საჯარო მოსამსახურეებისთვის“**, რომლის თანახმად **საჯარო მოსამსახურე ვალდებულია:**

**აქ სხვა საჯარო მოსამსახურის მიერ ნებისმიერი უკანონო ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ მტკიცებულების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეტყობინების გზით ამხილოს იგი ზემდგომ თანამდებობების პირთან.**

**ბძ თუ არ ჰყავს ზემდგომი თანამდებობის პირი, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს.**



ჩემო საყვარელო თანამემამულენო, გინახავთ უფრო უზნეო კანონი? იმედი მაქვს, რომ თქვენ სააკაშვილის პოლიციური რეჟიმის აგენტები არ გახდებით. სწორედ „დასმენები“ იყო ის, რამაც სისხლიანი 37-იანი წლები მოგვიტანა, ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდა, მეზობელი მეზობელს ასმენდა, მისი ბინა რომ დაესაკუთრებინა, სამსახურში კოლეგა კოლეგას აბეზღებდა, საკუთარი კარიერა რომ გაეკეთებინა, ერთი მეორეს ასმენდა, რათა მისგან აღებული ვალი არ დაებრუნებინა...

დიდი უსამართლობა იყო და დღეს ეს ჯოჯოხეთი გვიახლოვდება!!!

თვით „ზემდგომი პირის“ დაბეზღება თუ შეიძლება? პრეზიდენტმა ადრე დაბეზღებისკენ ბავშვებს მოუწოდა, ახლა კი პარლამენტარებზე გადავიდა!

მაინც, თვით პარლამენტარები როგორ უყურებენ ერთმანეთის დასმენის შესაძლებლობებს? დანაშაულებრივი ქმედებებიც ბევრი აქვთ და საფუძვლიანი ეჭვიც მრავალი არსებობს. რას მოიმოქმედებენ? რამდენი „ჩაუშვებს“ თავის კოლეგას?

ერთმანეთის შიშით ჩაუშვებენ! არ ჩაუშვებენ და „დანაშაულის დამალვისთვის“ მერაბიშვილის ციხის კარი გაიღება. ამდენად, ყველაზე ცუდ დღეში თვით პარლამენტარები არიან!

სამაგიეროდ, ამ კანონის თანახმად, „ზემდგომი **პირი ვალდებულია: არ გაამჟღავნოს მამხილებლის და მასთან დაკავშირებული პირის ვინაობა (საიდენტიფიკაციო მონაცემებიძ, არ დაუშვას მამხილებლის და მასთან დაკავშირებული პირის რეპუტაციის შელახვა და დაიცვას მამხილებელი, რათა არ გაუარესდეს მისი სამსახურებრივი მდგომარეობა ან არ შეიზღუდოს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება“.**

ახლა უკვე საქმე იმაზეა, თუ ვინ ვის დაასწრებს, რათა „სამსახურებრივი უფლებამოსილება არ შეიზღუდოს. შემდეგ ამ დამბეზღებელს სხვა „გამოავლენს“ როგორც დანაშაულში ეჭვმიტანილს და გაივსება ციხეები პარლამენტარებით, სამინისტროს მოხელეებით და, სამწუხაროდ“, წესიერი საჯარო მოსამსახურეებითაც.

ახიც იქნება თქვენზე, პარლამენტარებო. ხმის მიცემის უფლება რომ გაქვთ, განა ეს საკმარისია? არ გახსოვთ? სტალინმა მთელი „პოლიტბიურო“ დახვრიტა და იაგოდაც ზედ მიაყოლა, გენერალიტეტის ნახევარი საიქიოს გაისტუმრა და, სამწუხაროდ, „გულაგები“ წესიერი ხალხით გაავსო. შემდეგ არც ბერია დაინდეს. ასე იყო „ზემოთ“, თუმცა არც „ქვემოთ“ იყო კარგად დამბეზღებლების „საგმირო საქმეები“.

მერაბიშვილს ალბათ „მის ზემდგომ პირთან“, პრეზიდენტთან ამხელენ „შეტყობინების გზით“, მაგრამ ნეტავ პრეზიდენტს ვინმე თუ დააბეზღებს? ან სად დააბეზღონ? ვანოსთან ხომ არა? იქნებ ამერიკის ელჩთან? ალბათ ისაა საქართველოში ყველაზე „ზემდგომი პირი“.

**მერაბ ჯიბლაძე**

კონფლიქტური სიტუაცია

# ასე, ჩემო მანასეო?!

## ანუ რატომ და ვისგან ზურგგამაგრებული თვითნებობს „ყაზტრანსგაზი“, რომლის თავგასულობისგან მოსახლეობის დასაცავად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მომხმარებელთა უფლებების დამცველ კომისიას ქმნის

**გუშინ გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომა, რომელზეც ითქვა, რომ პარტია მომხმარებელთა უფლებების დამცველ კომისიას ქმნის, რომლის ხელმძღვანელადაც პაატა საყვარელიძე დაინიშნა.**

სხდომაზე განიხილეს ზოგადად ქვეყანაში და, კერძოდ, დედაქალაქში გაზმომარაგების და, საერთოდ, ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა უფლებების მასშტაბური, უხეში დარღვევის ფაქტები, რაც სოციალური არასტაბილურობის რეალურ საშიშროებას ქმნის.

როგორც სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, მიმდინარე წლის 7 ივლისს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში მმართველი და ოპოზიციური პარტიების, ენერგეტიკის მინისტრისა და „ყაზტრანსგაზის“ დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა, სადაც გადაწყდა, რომ ობიექტური მიზეზებით დაზიანებული და ვადაგასული მრიცხველების ახლით შეცვლის საფასურს გადაიხდიდა „ყაზტრანსგაზი“. მაგრამ ამ პირობას კომპანია არ ასრულებს, რასაც მოქალაქეთა არაერთი საჩივარი მოწმობს. უფრო მეტიც: „ყაზტრანსგაზის“ ახალი განცხადებით, იგი 10 აგვისტომდე მოსახლეობას მხოლოდ მონტაჟის საფასურს დაუფარავს, ხოლო ახალი მრიცხველის საფასური კვლავ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იწყებს მოძრაობას მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, ქმნის სპეციალურ კომისიას, რომლის ერთადერთი მოვალეობა მომხმარებელთა უფლებების დაცვა იქნება.

ედპ-ს მიზანია, ქვეყანაში შეიქმნას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, სადაც, ევროპული ქვეყნების მსგავსად, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იქნეს აყვანილი მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

**ხატია მუსერიძე**

განსჯა



*გვესაუბრება უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი*

## ირაკლი სესიაშვილი:

# დღევანდელი ჯარი ქვეყანას ვერ დაიცავს



**— ბატონო ირაკლი, აგვისტოს ომის შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა, რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დარტყმა მიიღო, დღეს კი კვლავ გააქტიურდა საუბრები რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესიის განხორციელების შესახებ. თქვენი ინფორმაციით, დღეს რა მდგომარეობაშია ქართული ჯარი?**

— მოდით, საუბარი იმით დავიწყოთ, თუ რა ფუნქცია ეკისრება ქართულ ჯარს. რეალურად, ჯარი ქვეყანას იმისთვის სჭირდება, რომ დაიცვას სახელმწიფო და უზრუნველჰყოს მისი უსაფრთხოება სხვა ძალოვან უწყებებთან ერთად. ამ კონტექსტში ჯარის ფუნქციის შესრულება მხოლოდ ჩაცმულობაზე და სამხედრო ტექნიკის ხარისხზე არ არის დამოკიდებული, რაზეც ჩვენი ხელისუფლება ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე აკეთებს აქცენტს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ჯარს ჩააცვეს და მილიარდები დაახარჯეს, აგვისტოს ომის დროს მან რეალურად საკუთარი შესაძლებლობების მინიმუმის გამოვლენა შეძლო და ეს უნდა ვაღიაროთ. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებები სულ რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ჩვენმა ჯარმა სერიოზული და, ამასთანავე, მწარე გამოცდილება მიიღო. წრთვნა და მომზადება, იმიტირებული საბრძოლო მოქმედებები ყოველთვის შეიძლება კარგად დაგეგმო და განახორციელო და მაღალი შეფასებაც მისცე, თუმცა რეალური საბრძოლო მოქმედებების დროს კი ყველა ნაკლი ერთდროულად იჩენს თავს და ნებისმიერმა არასწორმა გადაწყვეტილებამ და მოქმედებამ შეიძლება, გაცილებით მეტი ზიანი გამოიწვიოს, ვიდრე ეს თეორიულად დაიშვებოდა. აგვისტოს ომის დროს მიღებულ მწარე გამოცდილებას აუცილებლად უნდა დამუშავება და გაანალიზება. ფაქტია, რომ შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა დაბალი იყო. ასევე ფაქტია, რომ ჩვენ სერიოზული საკადრო დეფიციტი გვაქვს — არ გვყავს საკმარისი პროფესიონალი ოფიცრები, რომლებსაც შეუძლიათ, ეფექტურად მართონ შეიარაღებული ძალები. ამ ომმა დაგვანახა ძალიან ბევრი სხვა პრობლემაც. შედეგად ჯარმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო და ეს სერიოზული პრობლემაა, რომელზეც ასევე სერიოზული მუშაობაა საჭირო. როგორც გითხარით, ჯარმა ქვეყნის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, მაგრამ სისტემა არ არის გამართული და ჯარი ამას თავად ვერ მოახერხებს, ამიტომ გვჭირდება სხვადასხვა მიმართულების სერიოზული გადახედვა. კერძოდ, მთლიანად არის გადასახედი ჩვენი თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემა, აუცილებლად უნდა ამოქმედდეს კრიზისების მართვის ცენტრი, რაც მოიცავს კრიზისულ სიტუაციებში ქვეყანაში არსებულ ძალოვან უწყებებს შორის კოორდინირებულ მუშაობას, სამოქალაქო თავდაცვას, მოსახლეობის ევაკუაციას, მშვიდობიანი მოსახლეობის, სტრატეგიული ობიექტების დაცვას. ყოველივე ამის უკან უნდა იდგეს ძლიერი პოლიტიკური სისტემა, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით შეძლებს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის განხორციელებას. დღევანდელი პოლიტიკური სისტემა და ქვეყნის ფაქტობრივად ერთპარტიული მართველობა კი არ იძლევა ამის საშუალებას.

**— შეიარაღებულ ძალებზე და ოფიცერთა კორპუსზე რას იტყოდით? რა უნდა გაკეთდეს ყველა იმ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც შეიარაღებულ ძალებში სადღეისოდ არსებობს?**

— პირველ რიგში, ქვეყანაში არსებული საკადრო რესურსი ყოველგვარი პოლიტიკური ნიშნის გარეშე უნდა გამოვიყენოთ. ამის რესურსი არსებობს, ყოველ შემთხვევაში, მისი ძიება შეიძლება. კერძოდ, სამოქალაქო სექტორში ჩამოყალიბდა საექსპერტო ჯგუფები, რომელთაც ასევე შეუძლიათ, თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ. თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკური ორიენტაციისა და პოზიციების გათვალისწინებით, ხელისუფლება ცდილობს, ურთიერთობა დაამყაროს ისეთ ჯგუფებთან, რომლებიც მის მიმართ ლოიალური არიან და მაქსიმალურად ხელს კრავენ იმ ჯგუფებს, რომელთაც შეიძლება, მეტი პროფესიონალიზმი ჰქონდეთ, მაგრამ ხელისუფლების მიმართ არ იყვნენ ლოალური. ამ უკანასკნელ ჯგუფს ალბათ მეც განვეკუთვნები და ბევრი ჩემი მეგობარი, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ საკუთარი წვლილი შეიტანონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარებაში, თუმცა, როგორც წესი, ჩვენი ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ქვეყანაში სამი მოქმედი გენერალი გვყავს, ოფიცერთა უმრავლესობა ძალიან ახალგაზრდაა. შესაძლოა, ისინი პერსპექტიულები არიან, ნაწილს კარგი განათლება აქვს მიღებული, მაგრამ არ გააჩნიათ გამოცდილება და საკმარისი წოდებები ისეთი ჯარების მართვისთვის, როგორიცაა ბრიგადები. არ შეიძლება, ბრიგადის მეთაური კაპიტანი ან მაიორი იყოს. ბრიგადას, სულ მცირე, პოლკოვნიკი მაინც უნდა მართავდეს. ეს სერიოზული პრობლემაა და მას ვერსად გავექცევით. თუ ხელისუფლებაში პოლიტიკური ნება იქნება, მე ვფიქრობ, ქვეყანაში არსებულ გამოცდილ ადამიანებს აუცილებლად გამოიყენებენ.

**— უფრო რომ დავაკონკრეტოთ, რა რეფორმაზე საუბრობთ, რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად და ამ მიმართულებით აკეთებს თუ არა რამეს ხელისუფლება?**

— ჩემი აზრით, უნდა შემუშავდეს თავდაცვის და უსაფრთხოების ახალი სისტემა. ეს შეეხება ჯარების რიცხოვნობას, სახეობებს, სამხედრო მოსამსახურეების კატეგორიებს... უნდა განვსაზღვროთ, გვჭირდება წვევამდელები, რეზერვისტები, საერთოდ რა ტიპის სამსახურები და რა ვადით გვჭირდება, რა სოციალური უზრუნველყოფით, რა გარანტიებით და პერსპექტივებით? ომი, რომელმაც ნათლად დაგვანახა, რომ სარეზერვო სისტემა არ გაგვაჩნია, ერთი წლის წინათ მოხდა. ხელისუფლება გვეუბნება, რომ საფრთხეები კვლავაც მაღალია. გეკითხებით, ერთი წლის განმავლობაში ხომ შეიძლებოდა ახალი სარეზერვო სისტების მომზადება?! ხელისუფლებამ ეს არ ან ვერ გააკეთა, — თუ ვერ გააკეთა, ესე იგი, პროფესიონალიზმის დონე ძალიან დაბალია, თუ არ გააკეთა, ესე იგი, ქვეყანას ამგვარი უმოქმედობით ზიანს აყენებს. ხვალ რომ რუსი შემოვიდეს, სარეზერვო სისტემა აბსოლუტურად არ გვყავს და მობილიზაციასაც კი ვერ გააკეთებს!

იხ. 4 გვ.

პოზიცია

**ძალიან საინტერესო და ერთი შეხედვით უცნაური ამბები ხდება საქართველოში.**

**ამჯერად არ გავამახვილებ ყურადღებას იმ „მეტად საჭირბოროტო“ საკითხზე, როგორიც ინგლისური ენის შესწავლის ის „ახალი მეთოდია“, რომელიც ჩიორამ, გოკამ, ნიკამ და მათმა „კუტოკმა“ შემოგვთავაზეს.**

ნამდვილად არ გავამახვილებ ყურადღებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს მეთოდიც, როგორც ყველა სხვა დანარჩენი საკანონმდებლო აქტი, რომელთაც ისინი გვთავაზობენ, ძალიან დიდი სისულელეა.

ძვირფასო მკითხველო, ძალიან გთხოვ, არ იფიქრო, რომ ჩემი უზნელი ბავშვების სახელები ჩამოვთვალე.

შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ჩიორა, გოკა, ნიკა, და სხვა „ციყვები“, ჩვენი „კანონმდებლები“ და ხელისუფლების წევრები არიან.

არადა ამ ახალი მეთოდის შესახებ რომ გაიგონ, ჯერ ელენე დავიდოვას გაუსკდება გული, მერე ნანკა კალატოზიშვილს.

რაღა დაგიმალოთ და, მაგარი „საღადაოა“, როცა ჩიორა, გოკა და ნიკა იღვწიან იმისთვის, რომ ინგლისურის შესწავლის სინგაპურში აპრობირებული მეთოდი დანერგონ იმ ქვეყანაში, სადაც შექსპირი იმ წლებში თარგმნეს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობილება იყო, ხოლო სინგაპური, როგორც სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდა.

მგონი ძალიან ცუდად ვიცი ისტორია.

ძალიან ცუდად ვიცი, რადგანაც ჩიორას, გოკას, ნიკას და მათი პრეზიდენტის „წელთაღრიცხვით“, საქართველოს ისტორია 2003 წელს დაიწყო.

ჰოდა მოდით ივანე მაჩაბელს თავი დავანებოთ და ინგლისური მხატვრულ ფილმებზე დადებული ტიტრებით ვისწავლოთ (მით უმეტეს, რომ ერთმა ე.წ. პოპულარულმა მწერალმა, რომელსაც, ფროიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან სერიოზული „პირადი“ პრობლემები უნდა ჰქონდეს (მისი „ნაწარმოებებიდან“ გამომდინარეძ, ძალიან სულელური პიესა დაწერა მაჩაბლისა და აკაკი წერეთლის ურთიერთობების შესახებძ.

არც გამიკვირდება, რომ რომელიმე მკითხველი გაჯავრდეს და მითხრას: — რა დროს

## ვოთ დუ იუ ლაიკ ბეიბი,

### ანუ ინგლისურის სწავლისა და „საქართველოს დაცვის“ ახალი მეთოდები

ჩიორა, გოკა, ან სექსუალურად გაჭირვებული ლაშა ბუღაძეა, როდესაც ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა იქმნებაო.

არადა მართალი იქნება.

რაღა, დაგიმალოთ და ერთი-ორჯერ კი დავწერე იმ 207 პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, რომლებიც იუსტიციის სამინისტროში არის დარეგისტრირებული (არ გაგეცინოთ და ერთ-ერთ ასეთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, არც მეტი და არც ნაკლები, „ქიზიყი, უპატრონო ქვეყანა“ ჰქვია. ვინ მოსთვლის და „გაჭირვებულების“ გარდა, რამდენი ხუმარაა საქართველოშიძ.

ჰოოოდა, ამ დღეებში კიდევ ერთი საზოგადოებრივი მოძრაობაც დარეგისტრირდება.

სახელად „დაიცავი საქართველო“.

ვერაფერს იტყვი.

რაც მართალია, მართალია.

ნამდვილად დასაცავია საქართველო.

იმაშიც აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ ლევან გაჩეჩილაძე მართლაც, სულით და გულით ფიქრობს ამაზე, მაგრამ... (ეს ოხერი „მაგრამ“ როგორ ყველგან უნდა გამოეკვეხოსძ.

კიდევ ვინ დაიცავს საქართველოს ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად?

კი ბატონო, ბიძინა გეგიძე. გასაგებია და ნამდვილად მჯერა.

კიდევ?

მსახიობები, რეჟისორები, კულტურის ცნობილი მოღვაწეები და წარმატებული ბიზნესმენები.

ანუ, ის ქართული „ინტელიგენცია“, ის ე.წ. „ცნობადი სახეები“, რომლებიც, თუ „რამე პონტი არ იქნა“ ერთს არ გამოიხედავენ რუსთაველზე დადგმულ საკნებში მსხდომი „უბრალო მოქალაქეებისკენ?“

ისინი, რომლებსაც მიშას გადაგდება უნდათ იმ ხალხის ხელით, რომლებთანაც ერთხელაც არ ჩაივლიან არ გაამხნევებენ, ერთ თბილ სიტყვას არ ეტყვიან?

ძვირფასო „ცნობადო სახეებო!“ რა მინდა გითხრათ იცით?

თქვენ თუ საქართველო გიყვართ, მაშინ ათონელზე რომ თეატრია და იქ რომ სხვადასხვა „კურიერები“ ტელეკამერებს ჩართავენ, მარტო მაშინ კი ნუ გამოჩნდებით, ერთხელ ჩვენც ჩამოგვიარეთ ხანდახან, ყოველგვარი ტელევიზიების გარეშე.

არა, ღმერთმა დამიფაროს და „ჯარისკაცის მამაში“, ფრონტზე, ახალ წელს რომ ულოცავენ ხელოვნების მართლაც ნამდვილი მოღვაწეები, ისეთ რამეს როგორ შემოგბედავთ, მაგრამ ერთხელ ისე მოდით, უბრალოდ, ადამიანურად, ქართულად.

ათონელზე, „ჩერეზ ნაბერეჟნით“ კი ნუ წახვალთ, „ჩერეზ რუსთაველით“ ჩადით.

ეგ უფრო მაგარი იქნება ამ არჩევნების წინ.

ახლა არ მკითხოთ, ეს არჩევნები საიდან მოიტანეო.

რას ქვია საიდან მოვიტანე!

ედპ-დან დაწყებული, ამერიკელებით დამთავრებული ყველა არჩევნებზე ლაპარაკობს (მეც ვიცი ცოტა ინგლისური და კომპიუტერიძ.

ზოგი მაისში ელოდება, ზოგი შემოდგომაზე (ისე შემოდგომაზე ჯობია, ზამთარი მოდის და იქნებ ერთი-ორი კაპიკი შევიტანოთ სახლშიძ.

ყველა „მოძრაობს“.

ალასანია „ყველანაირი“ არჩევნებისთვის ემზადება და მარტო პარტიას კი არა, რაღაც უფრო დიდ გაერთანებას „აკეთებს“, ვიდრე ალიანსია (ნეტა რას დაპირდნენ ამერიკაში?ძ.

არც სხვები სხედან გულხელდაკრეფილნი.

ზოგი ისე მოძრაობს, ზოგი ასე.

არადა, ყველაზე სტაბილურად, ყოველგვარი ზედმეტი ფაფხურის, მარიაჟობის და გასაიდუმლოებული სტრატეგიის გარეშე, ანუ ყველაზე ნორმალურად ნინო ბურჯანაძე მუშაობს.

გაგიკვირდებათ და, შედეგი მხოლოდ მუშაობას მოაქვს.

ისე, რა მაგის პასუხია და, როგორც ინგლისურის სწავლა არ გამოვა ფილმებზე დადებული ტიტრებიდან, არც ნიუ-იორკიდან, ათონელზე „ჩერეზ ნაბერეჟნით“ სიარულით გამოვა რამე.

არჩევნებიც შემოდგომაზე ჯობია.

**გია გაბრიჭიძე**

◉ განსჯა

(მესამე გვერდიდან)

# ირაკლი სესიაშვილი:
# დღევანდელი ჯარი ქვეყანას ვერ დაიცავს

თუ თავად შენ ვერ აკეთებ, შექმენი კომისია, რაღაცით რომ დაგეხმაროს! ხელისუფლებაში არ ჩანს იმის პოტენციალი, რომ ამ სისტემების გაძლიერებისთვის და განვითარებისთვის სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდეს, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, უახლოეს ხანებში შეიქმნას შესაბამისი სახელმწიფო კომისიები, რომლებიც მინიმუმ, კონცეფტუალურ დონეზე ჩამოაყალიბებენ, თუ რა სჭირდება ჩვენი თავდაცვის და უსაფრთხოების განვითარებას. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ასევე დასავლეთის დახმარება: ნატო არასოდეს გეტყვის უარს, რომ გამოგვიგზავნოს ექსპერტები, არც აშშ გეტყვის უარს თავისი ცოდნის გაზიარებაზე... თუმცა ჩვენი თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის შემდგომი განვითარების კონცეფტუალური ხედვა საზოგადოებასთან ერთად უნდა ჩამოყალიბდეს.

**— რაც შეეხება გადამზადებას, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ ქართულ ჯარს ამზადებდნენ არა ქვეყნის დასაცავად, არამედ სამშვიდობო მისიების ჩასატარებლად. ახლა კი საუბრები მიდის იმაზე, რომ ქართულმა ჯარმა საკუთარი ქვეყნის თავდაცვის კუთხით უნდა გაააქტიუროს მუშაობა....**

— ზოგადად, 2004 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების სტრატეგია არასწორად შეარჩია, მათ შორის — იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით. აქცენტი მუდმივად კეთდებოდა თავდასხმითი იარაღის შესყიდვაზე: ვიძენდით თანამედროვე საარტილერიო ტექნიკას, რომელიც ძირითადად თავდასხმითი ოპერაციებისთვის არის განსაზღრული, მაშინ, როცა კონფლიქტის მიმდებარე ადმინისტრაციულ რეგიონებში ერთი სანგარი და თავდაცვითი ზღუდეები არ იყო მომზადებული! სტრატეგიული პუნქტები, რომელიც ჩვენს ჯარებს ეკავათ, არ იყო საკმარისად გამაგრებული, — გაიხსენეთ აფხაზეთის ომი, როდესაც აფხაზებს მთებში მთელი გვირაბები ჰქონდათ გაყვანილი... ჩვენ ორიენტირებული ვიყავით იმაზე, მიხეილ სააკაშვილი რომელ სამხედრო ბაზას გახსნიდა და იტყოდა, „ნახეთ, რა კარგი საცურაო აუზი აქვთ სამხედროებსო“. ასე იდეოლოგია არ ყალიბდება! როცა ამასთან დაკავშირებით ხმას ამოვიღებდით, პასუხად გვეუბნებოდნენ, „აბა, შევარდნაძის დროს რაც იყო, ის სჯობდაო?!“... შევარდნაძის დროს კობა კობალაძემ, რომელიც დღეს ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული, კოდორში რუსების მიერ დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით ისეთი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა და ისე მოაქცია ალყაში მტერი, რომ ერთი ტყვიაც არ გასროლილა! არ ვიცი, იცით თუ არა, მაგრამ ეს კობა კობალაძე აგვისტოს ომის დროს გორში დარბოდა და ეხვეწებოდა ვინმეს, „შტაბამდე მიმიყვანეთ, ჩემი ქვედანაყოფებით რამე დამავალეთ და რიგით ჯარისკაცებად გვიგულეთ, რათა ჩვენი მისია შევასრულოთო“. სხვათა შორის, მაშინ მას გორში თემურ ალასანია შეხვდა, რომელსაც სთხოვა, „იქნებ, მიაწვდინო ხმა, რომ აგერ ვარ და ნებისმიერ დავალებას შევასრულებ, — არ მინდა გენერლობა, უბრალოდ რიგით ჯარისკაცადო“... აი, ასეთი ადამიანები დღეს დევნაში არიან.

**—თქვენი ინფორმაციით, ხომ არ იგეგმება რეზერვისტების სისტემის რეფორმირების კუთხით თავდაცვის სამინისტროში რაიმე ცვლილება?**

— ჩაჩიბაია რომ დაინიშნა გენშტაბის უფროსად, მასთან გასაუბრების საშუალება მქონდა. მას ჰქონდა საკმაოდ საინტერესო ინიციატივა ამ სისტემის რეფორმირების შესახებ. მეტიც, გარკვეული თარიღიც დაითქვა, როცა ამ სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით კონცეფტუალური ხედვა უნდა განხილულიყო ექსპერტებთან ერთად. იცით, რომ მოგვიანებით ის გადააყენეს გაერთიანებული შტაბის უფროსის თანამდებობიდან. შემდგომ, როგორც ვიცი, თავდაცვის სამინისტროს მოსთხოვეს, რომ სარეზერვო სისტემის ახალი ხედვა ჩამოეყალიბებინა, მაგრამ მერე რა ვითარება შეიქმნა, ვერ გეტყვით. დაახლოებით რამდენიმე თვის წინათ უშიშროების საბჭოდან მთხოვეს ჩემი აზრის გამოთქმა სავალდებულო სამხედრო სამსახურთან მიმართებაში. მე ვუთხარი, რომ სავალდებულო სამსახურთან მიმართებაში რაიმე კონცეფტუალური ხედვის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია, თუ არ გვეცოდინება, რა ტიპის ჯარს ვაშენებთ საერთოდ.

**— საჰაერო თავდაცვაში რა მდგომარეობაა?**



— საჰაერო თავდაცვა ძალიან ძვირი სიამოვნებაა და დაკავშირებულია დიდ ფინანსებთან და რესურსებთან. ეს არ არის რაღაც ერთი დანადგარი, რომელსაც იყიდი და ამით გარანტირებული ხარ, — ეს უნდა იყოს სრული კომპლექტი: სარადარო სისტემა, ცენტრალიზებულად ან მობილურად მართვადი; სპეციალისტები, რისი რესურსიც ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია, ამიტომ შევყურებთ დასავლეთს. მაგრამ მოდით, ასე დავსვათ კითხვა, მიმდინარეობს ამ მიმართულებით დასავლეთთან მუშაობა? რამეს თუ აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რომ ვინმეს გაუჩნდეს სურვილი, ამ კუთხით დაგვეხმაროს? იმედი მაქვს, რომ შეერთებული შტატები უფრო მეტად ფიქრობს ამაზე, ვიდრე ჩვენი ხელისუფლება. ადრე თუ გვიან, აშშ ამ მიმართულებით დაგვეხმარება, — სხვა გზა არც ჩვენ და არც მას აქვს.

**— რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ცნობილი განცხადების შემდეგ, რომლითაც იგი საქართველოსთვის იარაღის მიმყიდველ ქვეყნებს ურთიერთობის გადახედვით დაემუქრა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისრაელი და ამ ეტაპზე აშშ-ც საქართველოსთვის იარაღის მოწოდებისგან თავს იკავებენ. როგორ ფიქრობთ, გაამართლა რუსეთის ჩანაფიქრმა ემბარგოს შესახებ?**

— დიახ, ომის შემდეგ რუსეთი ცდილობდა, ემბარგო გაეროს რეზოლუციით დაეწესებინა, მაგრამ ეს ვერ შეძლო, ამიტომ არაპირდაპირი ზეწოლა მოახდინა იმ ქვეყნებზე, რომლებიც საქართველოსთან თანამშრომლობდნენ. მედვედევის განცხადებამ, რა თქმა უნდა, გარკვეულ ქვეყნებზე ზეგავლენა მოახდინა და მათ თავი შეიკავეს საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობისგან. სხვათა შორის, ზოგიერთმა ქვეყანამ ეს არა რუსული ზეწოლის გამო, არამედ საკუთარი გადაწყვეტილებით გააკეთა, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიმართ ნდობა დაბალია. იცით, ისრაელი რატომ არ მოგვყიდის იარაღს? ისრაელი გვენდო ჩვენ, სხვადასხვა იარაღი მოგვყიდა, მოახდინა ჩვენი ტანკების მოდერნიზება ღამის ხედვის მოწყობილობებით, ეს საშუალებები კი რუსეთს უპრობლემოდ ჩაუვარდა ხელში, რითაც ეს ტექნოლოგიები გაიშიფრა. ამით ისრაელის სამხედრო მრეწველობამ სერიოზული ზარალი განიცადა. ეს შემაფერხებელი ფაქტორი ნაწილობრივ — ზეწოლით, ნაწილობრივ კი იმ პოლიტიკით არის გამოწვეული, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს.

**ლევან ჭითანავა**
**„პირველი“**

◉ ინფორმაცია

## ნამდვილ პატრიოტებს ციხეებში უშვებენ, ნაცმოძრაობის წევრებს – განმუხურში

**კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარე ლადო ბულბულაშვილი აცხადებს, რომ განმუხურის პატრიოტთა ბანაკისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება.**

**ბულბულაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტრომ ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს განმუხურში პატრიოტთა ბანაკის მშენებლობისა და აღნიშნულ ბანაკში გასამართი ღონისძიებების განხორციელების მიზნით 1 200 000 ლარი გამოუყო. ლადო ბულბულაშვილის განცხადებით, თანხების ათვისება ნიკა რურუას და ზაზა გოროზიას მიერ მოხდება და განმუხურში თანხის ის მინიმუმი დაიხარჯება რაც საჭიროა ე.წ „ფასადების“ პოლიტიკის განსახორციელებლად.**

**ვფიქრობთ უზნეობაა და უსუსურობა ხელისუფლების მხრიდან, როდესაც საპატიმროებში აგზავნიან ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებს, ხოლო „კომკავშირელების“ და ნაცმოძრაობის აქტივისტების დასვენებაზე მილიონობით კორუმპირებული ლარი იხარჯება, — განაცხადა ბრიფინგზე ლადო ბულბულაშვილმა.**

**კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარე მიმართავს საქართველოს კულტურის მინისტრს ნიკოლოზ რურუას და მოითხოვს დეტალურ გაანგარიშებას თუ რა ღონისძიებებისათვის უნდა მიიმართოს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ აი, „დემოკრატია!“

# „კაცი, რომელიც „ჩვენთან არ არის“, არ უნდა „მნამზეობდეს“?!.



**როცა ამ ორი წლის წინათ სახელმწიფო, მაშასადამე საერთო-სახალხო საკუთრებაში მყოფი შპს „საქართველოს რკინიგზის“ გასხვისების პირველ მცდელობას დარგში მთელი რიგი ნეგატიური პროცესები მოჰყვა, კერძოდ, სამგზავრო გადაზიდვების განახევრება, ბათუმი-ოზურგეთის მიმართულების საგარეუბნო მატარებლის გაუქმება და სხვა, ამან რკინიგზელთა საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია, რასაც მხარი დაუჭირა ადგილობრივმა მოსახლეობამაც.**

მაშინ ამას გარკვეულწილად დადებითი შედეგი მოჰყვა. ამის დასტური იყო როგორც აღნიშნული მარშრუტის შენარჩუნება, ასევე საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული მთელი რიგი სხვა ნაბიჯები, რამაც პოზიტიური როლი შეასრულა როგორც კომპანიის განვითარების, ისე მოსახლეობის სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების, რკინიგზელთა დასაქმების და სხვა საქმეში.

რამდენადაც ცნობილია, მაშინ რკინიგზის თანამშრომელთა პროტესტს კომპანიის ხელმძღვანელთა მხრიდან „ურჩთა“ მიმართ რაიმე „სადამსჯელო“ ღონისძიებები არ მოჰყოლია და, ჩვენი აზრით, ესეც ნამდვილად მისასალმებელი გარემოება გახლავთ. თუმცა, როგორც ჩანს, მართალი ყოფილა ძველი ბერძენი მოაზროვნე ჰერაკლიტე, რომელმაც თქვა, შეუძლებელია ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლაო. ახლა ისე გამოდის, რომ მაშინ სხვა მიდგომა ჰქონდათ რკინიგზის მესვეურთ „პროტესტანტების“ მიმართ, ახლა — სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მთლად შეუძლებელი თუ არა, მაინც ძნელი ასახსნელი იქნება ის ამბავი, რაც რამდენიმე დღის წინათ გორელ რკინიგზის ინჟინერს ვალერიან მაყიშვილს დამართეს.

ივნისის დამდეგს ბატონი მაყიშვილი რედაქციაში გვესტუმრა, დარგის საჭირბოროტო საკითხებზე და განვითარების მისეულ ხედვაზე ვილაპარაკეთ, შემდგომ ამ საუბრის შინაარსი გამოვაქვეყნეთ („საქართველოს რესპუბლიკა“ 04.06.№ 108; 19.06. № 124; 20.06. № 125ძ.

თურმე, ნუ იტყვით და არ მოსწონებიათ ეს ამბავი უფროსებს, მაგრამ პროფესიონალ ინჟინერს არც უშუალო უფროსობა დალაპარაკებია, არც თბილისში დაუძახიათ, პირდაპირ... კონტრაქტი შეუწყვიტეს, რომელიც მასთან უვადოდ ჰქონდათ გაფორმებული. ამრიგად, სამი მცირეწლოვანი შვილის პატრონი ოჯახის უფროსი უბრალოდ ქუჩაში გააგდეს, პატარები კი ულუკმაპუროდ დატოვეს.

ეს ამბავი რომ რედაქციაში შევიტყვეთ, რა გასაკვირია, შევწუხდით, ამიტომ „საქართველოს რკინიგზის“ დეპარტამენტს დავუკავშირდით და ბატონი მაყიშვილის კონტრაქტით შეწყვეტის ფორმალური მიზეზის განმარტება ვთხოვეთ. კონკრეტულად ვერაფერი გვითხრეს, თუმცა საკუთარი პოზიცია კი მკაფიოდ დააფიქსირეს: **თუ ამ გაგანია უმუშევრობაში კაცს იქ მუშაობა არ მოსწონს, სადაც შრომობს, ის სამსახურში გასაჩერებელი ნამდვილად არ არისო, გვითხრეს.**

მოკლედ, მათი აზრით, ურჩებთან ბევრი ლაილაი საჭირო არ არის. წიხლი ზურგსქვემოთ და ეგ არის.

აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები. თქვენი არ ვიცი, მაგრამ, ჩვენი აზრით, თანამშრომლისთვის, გნებავთ, უბრალოდ, მოქალაქისა და პიროვნებისადმი ასეთი დამოკიდებულება ნეობოლშევიზმის რეციდივად უნდა მივიჩნიოთ — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებსო.

არადა ბატონ მაყიშვილის გულისტკივილი სწორედ რომ დარგის დაკნინებაა, რაც, უწინარესად, მისი გასხვისების მცდელობის მიჩქმალვაში, ქვეყნისთვის არახელსაყრელ სატარიფო პოლიტიკაში და კიდევ მრავალ სხვა ასპექტში გამოიხატება. „რკინიგზის მამათა“ აზრით ამნაირი „არაუწყებრივი“ აზროვნება გემბანზე, უკაცრავად, სადგურის ბაქანზე ამბოხის მცდელობაა, რაც, შესაძლოა, სხვათათვის ცუდი მაგალითი გამოდგეს. ამიტომაც არის რომ ეს კაცი სასწრაფოდ „მოკვეთეს“ კოლექტივს.

თუ რა „ნიჰილისტური“ მოსაზრებები აქვს კონკრეტულად ვალერიან მაყიშვილს, რა კონკრეტული პროფესიონალური წინადადებები აქვს ჩვენში სარკინიგზო დარგის განვითარების მხრივ, ამის შესახებ საუბარი შემდგომ საგაზეთო პუბლიკაციებში გვექნება. ასევე აუცილებლად ვადევნებთ თვალყურს იმას, თუ როგორ განვითარდება შემდგომში პირადად გორელი ინჟინრისა და „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელთა ურთიერთობა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

გაოქროსფრთიანებულნი

# ჟურნალისტთა „ოსკარის" ახალი ლაურეატები

***ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი — „ოქროს ფრთა" მართლაც სანატრელ, ძვირფას, სერიოზულ ბრენდად ჩამოყალიბდა. სულ რაღაც 6-7 წელიწადში (დაარსდა 2002 წელს), 100-ზე მეტ გამოჩენილ ჟურნალისტს, რეჟისორს, მომღერალს, მსახიობს, ზოგადად ხელოვანს და, რაღა თქმა უნდა, მეცენატ საზოგადო მოღვაწეს მიანიჭა „ოქროს ფრთა" საქვეყნო საქმესა და არჩეულ პროფესიაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის.***




9 ივლისს კიდევ ჩვიდმეტი გაოქროსფრთიანებული ცნობილი პიროვნება შეემატა ლაურეატთა სიას. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში ერთობ შთამბეჭდავი მინი-სპექტაკლი, დაჯილდოების თეატრალიზებული ცერემონიალი გაიმართა. ქართველ ჟურნალისტთა „ოსკარის" მეათე, საიუბილეო დაჯილდოებაზე, უპირველეს, ის ფაქტი ესიამოვნა ხალხს (დარბაზი გადაჭედილი იყო), რომ საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთას" ამიერიდან ქალბატონ **ეთერ ჯიშკარიანთან** ერთად უკვე აღიარებული პუბლიცისტი, მწერალი და ქველმოქმედი **თაკო ჩარკვიანი** უხელმძღვანელებს. ისინი უახლოეს ხანებში ფონდის გარდაქმნას და სასიამოვნო სიურპრიზებს გვპირდებიან. როგორც თაკო ჩარკვიანმა თქვა, გამოჩნდნენ ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც ხელს შეაშველებენ ამ საშვილიშვილო საქმეთათვის მოწოდებულ ფონდს და თანამიმდევრულად აამაღლებენ მის ავტორიტეტს.

— პირველად ვერ მივხვდი, რატომ მაჯილდოებდნენ „ოქროს ფრთით", მაგრამ... როცა დარბაზში შეკრებილ ძვირფას სტუმრებს გადავხედე, დაჯილდოებულთა მთავარი ცხოვრებისეული კრედო გავიგე, ერთობ მესიამოვნა ეს ლამაზი ჯილდო, ჩემი ცხოვრების მთავარი წყარო ხომ საქართველოა, ისე როგორც „ოქროს ფრთის" სხვა ნომინანტებისა, — თქვა ჩვენმა ლეგენდარულმა რეჟისორმა **რობერტ სტურუამ.**

— საცა რობერტ სტურუაა, იქ პოეტ **რეზო ამაშუკელის** ღვაწლიც უნდა წარმოჩინდეს, — თქვა საღამოს წამყვანმა და ჩვენს გამოჩენილ პოეტს, პატრიოტული ლირიკის დიდოსტატს „ოქროს ფრთა" გადასცა.

ქართველი და მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „ოქროს ფრთა" მიენიჭა ქართული კინოს ღირსებასა და სინდისს, გამორჩეულ ეროვნულ მოღვაწეს **რეზო ჩხეიძეს.**

ყველას განსაკუთრებით ესიამოვნა კიდევ ერთი ხელოვანის, საქართველოს სახალხო არტისტის, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის დირექტორის და სამხატვრო ხელმძღვანელის **დიმიტრი (დიმა) ჯაიანის** „ოქროს ფრთით" დაჯილდოება. დიდი განმარტება არ სჭირდება იმას, რომ ეს ღირსეული თეატრალური მოღვაწე და გულანთებული მამულიშვილი ყოველმხრივ იმსახურებს ჟურნალისტთა „ოსკარს".

წლევანდელი დაჯილდოების ერთ-ერთი სიურპრიზი იყო დიდად დამაშვრალი ქალბატონების, ილია ჭავჭავაძის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის **მზია ნადირაძის** და ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის **თამარ კობახიძის** დაჯილდოება „ოქროს ფრთით". ჟურნალისტური პრემია შემოქმედებით არეალს აფართოებს და საქართველოს უპირველესი ჟურნალისტის ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ახლებური გააზრებისთვის, დიდი რუდუნებით, „ჩუმად" მოღვაწე ქალბატონებს აჯილდოებს. ეს განსაკუთრებით კარგია.

ქართულ ჟურნალისტურ ელიტას, ჩვენს ტელემაყურებელს, ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს ნამდვილად არ ჭირდებათ იმის ახსნა, თუ ვინ არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **არმაზ სანებლიძე,** გადაცემა „ჩვენებურების" ავტორი, დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე **გიორგი კალანდია,** ტელეკომპანია „მაესტროს" (უფრო ადრე „1 სტერეოს", „ევრიკას"ძ სულისჩამდგმელი და გენერალური დირექტორი **მამუკა ღლონტი,** ქართული და ინგლისურენოვანი პოპულარული გაზეთის „ჯორჯიან თაიმსის" გამომცემელი, მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" ვიცე-პრეზიდენტი **ნანა გაგუა,** თბილისის „ზარაფხანის" დირექტორი, გამომცემლობა „კოჩინელას" დამფუძნებელი, ცნობილი ტელეწამყვანი, პროფესიონალი დიზაინერი, ხელოვნებათმცოდნე და დიპლომატი **ეკატერინე სოფია,** ტელეკომპანია „კავკასიის" საავტორო გადაცემა „ბარიერის" წამყვანი **ალექსანდრე ელისაშვილი,** გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" მთავარი რედაქტორის მოადგილე, სტუდენტურ-ახალგაზრდულ ჟურნალ-გაზეთების დამფუძნებელი და რედაქტორი **გიორგი მამაცაშვილი.**

დაჯილდოებულთა შორისაა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიაში, ლიბანში, საუდის არაბეთში, ქუვეითსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში **ეკატერინე მიქაძე-მაერინგი** — უაღრესად განათლებული, დახვეწილი, პერსპექტიული დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე.

„ოქროს ფრთა" მიენიჭა ამერიკელ ჟურნალისტს **ვლადიმერ ვოინას,** რომელმაც 100-მდე კვალიფიციური სტატია გამოაქვეყნა „Georgia Siurnal"-ის ფურცლებზე. დაჯილდოების ცერემონიალზე მან იმედით აღსავსე სიტყვით მიმართა ქართველ მეგობრებს.

და ბოლოს „ოქროს ფრთის" ლაურეატი გახდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გამოჩენილი მომღერალი და ტელეწამყვანი **გია გაჩეჩილაძე** („უცნობი"ძ, რომელიც უკვე გამოჯანმრთელდა და ივლისის მეორე ნახევრიდან კვლავ დაუბრუნდება მეხუთე საკანს...

დაჯილდოების ცერემონიის მონაწილეებს უფასოდ დაურიგდათ გემოვნებით შედგენილი ჟურნალი „ოქროს ფრთა"-2009, რომლის შემდგენელი და რედაქტორია ცნობილი ჟურნალისტი **გიგლა გობეჩია,** გამომცემელი — **თაკო ჩარკვიანი,** იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი **ეთერ ჯიშკარიანი,** რომელსაც იმ დღეს სრულიად მოულოდნელად, თუმცაღა დამსახურებულად მიენიჭა „ოქროს ფრთა".

ალიარებას გილოცავთ, მეგობრებო! გფარავდეთ უფალი!

**სპარტაკ ქოზულია**

თვალსაზრისი

***აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას მოსკოვში ვიზიტზე რუს ექსპერტთა შეფასებები არაერთგვაროვანია. მათი მცირე ნაწილი, რომლებიც დემოკრატიული ფასეულობების მიმდევრებად მიიჩნევიან, აშშ-ს 44-ე პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტს დადებითად აფასებენ, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც თავის იმპერიალისტურ-შოვინისტურ მისწრაფებებს არ მალავს, ცდილობს, არ შეიმჩნიონ თეთრი სახლის ახალი მეთაურისთვის ვიზიტის აშკარად წარმატებული ასპექტები.***



***ვინაიდან რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ობამას ვიზიტთან დაკავშირებით იმპერიალისტურ-შოვინისტური განწყობები აშკარად ჭარბობს, „ინტერპრესნიუსი" გთავაზობთ ინტერვიუს რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელ სერგეი მარკედონოვთან. იგი იმ განათლებულ რუს ექსპერტთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც, ქართველ ექსპერტთა შეფასებით, „მოჭარბებულ იმპერიალიზმსა და შოვინიზმს პატრიოტიზმად ასაღებენ".***

# სერგეი მარკედონოვი: ვაშინგტონი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მაგრამ ეს არსებულ ვითარებაზე არ იმოქმედებს

**— ბატონო სერგეი, როგორ შეაფასებდით აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის შედეგებს?**

— ჩემი აზრით, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის დღის წესრიგში, პირობითად, პრობლემათა ორი კალათა ჩამოყალიბდა. პირველს, ასევე პირობითად, შეიძლება, ვუწოდოთ სტრატეგიულ საკითხთა კალათა, რომელშიც შედის ბირთვული შეიარაღების საკითხები, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, ავღანეთისა და ირანის პრობლემატიკა, მეორე კალათში კი ევრაზიის, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებული საკითხებია.

რაც შეეხება სტრატეგიული კალათის პრობლემებს, ამ საკითხებში გარკვეული შეთანხმებები მიღწეულია, მიუხედავად იმისა, რომ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის რაკეტების ევროპაში განლაგების რიგი საკითხები გადაუჭრელი დარჩა. ვიზიტის მთავარ შედეგად, შეიძლება, ჩაითვალოს რუსეთის გავლით ავღანეთში სამხედრო ტვირთების ტრანზიტის მხრივ მიღწეული შეთანხმება. მანამდე რუსეთი ავღანეთში მხოლოდ არასამხედრო ტვირთებს ატარებდა, მაგრამ ახლა საუბარია, რომ აშშ და რუსეთი სამხედრო სფეროში მჭიდროდ ითანამშრობენ.

სტრატეგიულ საკითხებში თანამშრომლობა, გარკვეულწილად, იმოქმედებს მეორე კალათის, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე, ვინაიდან სრულიად ნათელია, რომ აშშ-მ და რუსეთმა ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უნდა ითანამშრომლონ. რაც შეეხება მეორე კალათის სხვა საკითხებს, ჯერ სერიოზულ ცვლილებებს ვერ ვხედავ.

ცხადია, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს ყარაბაღის საკითხში გარკვეული აზრთა თანხვედრა აქვთ, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საკითხში მხარეებს შორის ურთიერთგაგება არსებობს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრიდან 2 კვირაში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვიზიტი კიევსა და თბილისში არავის არ გადაუდვია ან არ გაუუქმებია. პრეზიდენტ ბუშის დროსაც აშშ და რუსეთი სტრატეგიულ საკითხებში თანამშრომლობდნენ, მაგრამ რუსეთისთვის მთავარი სწორედ რომ პოსტსაბჭოთა სივრცეა.

**— რამდენად რეალურად მიიჩნევთ პუტინის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის იური უშაკოვის მტკიცებას, თითქოს ობამა პუტინს საქართველოსთან, უკრაინასთან და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებით მოსკოვის ინტერესების გათვალისწინებას დაჰპირდა? აშშ-ში რუსეთის ყოფილი ელჩის განცხადება პროპაგანდის ნაწილად უნდა აღვიქვათ თუ იმის ნიშნად, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის დამყარების იდეას ვერ ელევა?**

— ამ იდეას რუსეთი ვერც ვერასოდეს შეელევა. ამგვარი რამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა რუსეთის პრეზიდენტად ლიბერალი იქნება არჩეული. საქმე მარტო ის არ არის, რომ ძლიერი ქვეყნები მეზობლებით ინტერესდებიან. სუსტი ქვეყნებიც იჩენენ ინტერესს ძლიერი ქვეყნებისადმი. ამ თვალსაზრისით, საქართველოსთვის, უკრაინისა და აზერბაიჯანისთვის რუსეთი საინტერესო ქვეყანაა. ასეა ამერიკის კონტინენტზეც. ვენესუელისთვის აშშ ინტერესს წარმოადგენს და გასაკვირი იქნებოდა, ასე რომ არ იყოს. იმის მტკიცება, რომ განსაკუთრებული ინტერესის სფეროები არ არსებობს, ისეთივე უაზრობაა, როგორც ფიზიკაში მიზიდულობის ძალის არარსებობის მტკიცება ან იმის თქმა, რომ ორჯერ ორი ოთხი არ არის.

საქმე მხოლოდ ის არის, რა ხერხით გადანაწილდეს ინტერესთა სფეროები — უხეში ძალის გამოყენებით, კონფრონტაციით თუ კონფრონტაციის გარეშე, ამ პროცესში ხალხი დაზარალდება თუ დიპლომატიური გზით გახდება შეთანხმება შესაძლებელი.

არ ვფიქრობ, რომ ობამა პუტინს რამეს დაჰპირდა. ასეც რომ იყოს, ეს ხომ დოკუმენტურად და იურიდიულად არ გაფორმებულა. რაც შეეხება უშაკოვის განცხადებას, ვფიქრობ, ეს საქართველოსთან დაკავშირებით პრეზიდენტ ობამას განცხადებაზე კრემლის რეაქციის გამოვლინებაა და მეტი არაფერი.

**— ობამამ მოსკოვსა და რუსულ პოლიტელიტას არა მარტო აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობების ახალი ხედვა, არამედ საერთაშორისო არენაზე რუსეთის უფრო აქტიური მონაწილეობა უკვე არსებული წესებით შესთავაზა. თქვენი აზრით, რუსული პოლიტიკური კლასი გაგებით მოეკიდება ობამას წინადადებებს, თუ რუსეთში ანტიამერიკული პროპაგანდა კვლავ გაგრძელდება?**

— თამაშის წესებს ერთი ქვეყანა არ აწესებს, წესები შეთანხმების საფუძველზე ყალიბდება. მოსკოვში კარგად ესმით, რომ აშშ მსოფლიოში № 1 ზესახელმწიფოა და საჭიროა მისთვის ანგარიშის გაწევა, მაგრამ საქმე ის არის, მოსკოვმა ვაშინგტონს ყველაფერში უნდა გაუწიოს ანგარიში თუ — არა. ჩემი აზრით, ეს დეტალები და ნიუანსები ახლა ზუსტდება.

**— თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობს ხელს აშშ-სა და რუსეთს შორის წარმატებული თანამშრომლობა საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემატიკის გადაწყვეტას, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას?**

— აგვისტოს ომის შემდეგ აშშ თითქმის ერთი წელია აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ამერიკა საქართველოს გამო არ იომებს. ჩემი აზრით, რუსეთს ეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ არ გავიდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ფარგლებს გარეთ.

ამერიკელებმა, გარკვეულწილად, უკვე აღიარეს არსებული ვითარება. აშშ არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და იდეოლოგიურად განაგრძობს ამის მტკიცებას, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ს საქართველოსთვის ამ ორი რეგიონის დაბრუნების არც რესურსი და არც სურვილი არა აქვს. ვაშინგტონს საქართველოსთვის დახმარების სურვილი რომ ჰქონოდა, ომის დროს თბილისს ფულის ნაცვლად სხვა რამეთი დაეხმარებოდა. შარშან ნატომ დაგმო რუსეთის მოქმედება საქართველოში, მაგრამ მეორე პუნქტად აღნიშნა, რომ ნატო რუსეთთან პარტნიორობაზე უარს არ ამბობს. ნატოსა და აშშ-სათვის რუსეთი მნიშვნელოვანი და დიდი პარტნიორია.

ახლა საქმე ისაა, სად და როგორ გაივლება წითელი ხაზები. მე, არა მარტო იმიტომ, რომ რუსი ვარ, არ მჯერა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილები გახდებიან. ემოციურად მესმის სერბების, ქართველების, მაგრამ ეს რომ არარეალურია, უდავოა. შანსები და შესაძლებლობები იყო, მაგრამ ისტორიამ ასე განკარგა.

აშშ-ს შეუძლია ყოველდღე ისაუბროს იმაზე, რომ ვაშინგტონი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მაგრამ ეს ამ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე არანაირად არ იმოქმედებს.

**კობა ბენდელიანი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №142

ავტოპორტრეტი

# გიგა ლორთქიფანიძე ყველაფერს უძლებს...

**ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს რამდენიმე ტრივიალური კითხვა დავუსვით ბავშვობის, სკოლის, ახალგაზრდობის წლების, გატაცებების, პროფესიის, ოჯახის შესახებ და ამგვარ მოულოდნელ დასკვნამდე მივედით; არც ერთი კითხვა არ შეიძლება ბანალურად გამოიყურებოდეს, თუ მას პასუხობს გენიალური რესპონდენტი, ვინაიდან მან საუბრისას ჩათვალა, უინტერესო არ უნდა იყოს... ხოლო რაც შეეხება „ორიგინალობას“ ერთი ფრანგი მწერალი წერდა: „ბანალური სიტყვების მიღმა ჭეშმარიტება იმალებაო“...**

**ჟურნალისტიკა ბანალურის და ორიგინალურის, ნამდვილის და გამოგონილის უჩვეულო სინთეზია.**

**ჩვენ ამჟამად „ნამდვილის“ წარმოსახვითი მხარეები გვაინტერესებდა და ამიტომ მაესტრო გიგა ლორთქიფანიძეს ვეწვიეთ. საუბრიდან, რომელიც ვიდეოფირზე ჩავიწერეთ, „კვირაძალის“ მკითხველს რამდენიმე ფრაგმენტს ვთავაზობთ. მალე ამ საინტერესო მასალის ვიდეოვერსიას იხილავენ ქართული კინოსა და თეატრის გრანდების თაყვანისმცემლები.**

## „ხალხის მტრის შვილი“

10 წლის ასაკში დავკარგე მამა. ის დააპატიმრეს, დახვრიტეს... რეპრესირებულნი იყვნენ სხვა ჩემი ახლობლებიც... მათ შორის ბიძა – ცნობილი დირიჟორი ევგენი მიქელაძე...

როცა მეკითხებით, რას შეცვლიდითო თქვენს ცხოვრებაში? შევცვლიდი ჩემი ბავშვობის იმ საშინელ მოგონებებს, იმ პერიოდს, იმ რეალობას... ზუსტად ამას შევცვლიდი, რომ არ ყოფილიყო ის საშინელი წლები ჩემს ცხოვრებაში... მაგრამ ცხოვრება ისეთი რამეა, მიუხედავად ყველაფრისა, გრძელდება. გრძელდებოდა ჩემი ბავშვობაც, თუმცა, ძალიან მტკივნეული ბავშვობა...

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ სკოლის ბავშვებს აიძულებდნენ, დაეგმოთ საკუთარი მამა. გამოსულიყვნენ და ეთქვათ: „მამაჩემი არის ხალხის მტერი!“

მე მაშინ შეგნებულად, ერთი კვირის მანძილზე არ მივედი სკოლაში. მამა ახალდაპატიმრებული იყო. ჩემგანაც ამგვარ „აღიარებას“ ელოდნენ, მე კი ამას ვერ გავაკეთებდი...

ეს რეალობა დიდხანს გვდევდათან. „ხალხის მტრის შვილი“ – ასეთი სახელწოდება მოიგონეს კომუნისტებმა, მაგრამ მერე დრო შეიცვალა, შევძელით ნორმალური ცხოვრება...

ბავშვობიდან ჩემი ყველაზე დიდი გატაცება იყო მუსიკა. ვსწავლობდი ცნობილ პედაგოგ – **ანასტასია ვირსალაძესთან.** დიდი იმედებიც იყო... მერე ძალიან მძიმე წლები დადგა: ომი, გაჭირვება... საშუალება აღარ გვქონდა და საუბედუროდ, მუსიკას თავი დავანებე. პარალელურად, ყოველთვის ვოცნებობდი მსახიობობაზე.

ვერაზე ვცხოვრობდი... და იქ ბიჭები ვაწყობდით ხოლმე სპექტაკლებს. ვდგამდით „არსენა მარაბდელს“, „კაკო ყაჩაღს“... მაინცდამაინც ყაჩაღობაზე ვიყავით დახელოვნებულნი. მე იქ მთავარ როლებს ვთამაშობდი, მერე... 12 წლის ასაკში, ფეხი მოვიტეხე და იმის მერე უკვე მსახიობობა აღარ შემეძლო... იმ ასაკში რეჟისორობაზე არც მიფიქრია. რეჟისორი რა იყო, ისიც არ ვიცოდი წესიერად...

ერთი „მოვლენა“ მახსენდება კიდევ ჩემი ბავშვობიდან. ცნობილი კინორეჟისორი ლეო ესაკია იღებდა რაღაც ფილმს, რომელიც ასახავდა გერმანელების ცხოვრებას საქართველოში. როგორ შეიქმნა კოლმეურნეობა, როგორ ჩაებნენ გერმანელებიც საქართველოს ცხოვრებაში და ა. შ. იქ ვთამაშობდი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს – პატარა ბიჭს. ვმღეროდი გერმანულ ენაზე და სათამაშო ცხენზე ვქანაობდი... იქ იყო ასეთი იდიოტური სცენა: კულაკის ცოლმა უნდა მომცეს კამფეტი და მე ისეთი შეგნებული უნდა ვიყო, 8 თუ 7 წლის ბავშვი, რომ უნდა ვუთხრა: „არა!“ ანუ კულაკის ცოლისგან კამფეტი არ უნდა ავიღო! არადა ძალიან მძიმე წლები იყო და კამფეტი არც ისე ხშირი მოვლენა გახლდათ ჩვენს ცხოვრებაში... რამდენიც გამომიწოდა, იმდენი ავიღე. ლეო ესაკია ბოლოს გაბრაზდა: „ვერ მოვაშლევინე ბავშვს ამ კამფეტის აღებაო!“ ბოლოს მომკიდა ხელი, შემიყვანა კინოსტუდიის ბუფეტში და ნახევარი კილო შოკოლადი მაჭამა...

შემდეგ კი, როცა „კულაკის ცოლმა“ კამფეტი გამომიწოდა „არ მინდა-მეთქი“ – სრულიად ბუნებრივად ვუთხარი.

## „მდიდარი ქართველები“ მოსკოვში

თეატრალურ ინსტიტუტში 1944 წელს შევედი.

პირველ კურსზე მასწავლიდა **გიორგი ტოვსტონოგოვი** (საქართველოში დაბადებული, დედით ქართველი) ჩვენთან სწავლობდა ჩემზე 8 თუ 9 წლით უფროსი **მიხეილ თუმანიშვილი,** ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი, რომლის გავლენასაც განვიცდიდი. ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და მისი რჩევები ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო.



ტოვსტონოგოვთან სწავლის დროს განსაკუთრებულად გვიტაცებდა მისი მონათხრობები სამხატვრო თეატრზე, მცირე თეატრზე, კამერულ თეატრზე, თეატრზე, ტაიროვის ხელმძღვანელობით... სურვილი გამიჩნდა, გავცნობოდი ამ მხიარულ, მაღალი რანგის კულტურას.

ჩავაბარე მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში (მაშინ, „გიტისი“ ერქვა) და 1950 წელს დავამთავრე...

ჩემი სტუდენტობის ხანა იყო გაჭირვების, შიმშილის წლები. სტუდენტებს არაფერი გვებადა, მაგრამ ერთ რამეს კი ვახერხებდით: როცა რომელიმე ჩენგანი მიიღებდა ამანათს ან ცოტა ფულს, ის გაშლიდა სუფრას და ყველას დაგვპატიჟებდა. მეორე ან მესამე დღეს სხვა შლიდა სუფრას და ყველას ეპატიჟებოდა. რუსებს უკვირდათ: „თქვენ მდიდარი ხალხი ხართ!“ „მდიდრები კი არა ვართ, ჩვენ ასეთი ურთიერთობის უნარი გვაქვს... – ვეუბნებოდით – თქვენ კი ამას ვერ ახერხებთ“...

ამას ხშირად ვამბობ, რომ ვამაყობ იმ წლებით, როცა ერთ ოთახში ვცხოვრობდით: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, სულხან ცინცაძე და თქვენი მონა-მორჩილი (მომავალში ოთხი „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი“). უცნაურია, ერთი პატარა ოთახიდან, ერთი მშიერი საერთო საცხოვრებელი სახლიდან, გამოვიდა ოთხი მნიშვნელოვანი პიროვნება, ქართული კინოს, ქართული თეატრის და ქართული მუსიკის სამყაროდან.

ერთხელ ძალიან გაგვიჭირდა, რამდენიმე დღე მშივრები ვიყავით, არავის ფული არ გვქონდა. უცებ რეზო ჩხეიძემ წამოაყენა ასეთი პრაქტიკული წინადადება: ჩვენს გვერდით, ლომბარდში ჩაგვებარებინა პალტოები. შუა მაისის თვეა და ხომ აღარ დაგვჭირდებაო. ავიღოთ ფული და რამდენიმე ხანი მაინც კარგად გვეყოფა საჭმელადო. სექტემბერში რომ დავბრუნდებით, გამოვისყიდოთო. წავედით და დავდექით ლომბარდის რიგში. მოსკოვი ხომ რიგის გარეშე არ არსებობს. როგორც იქნა, შევაღწიეთ. ხალხი გვიყურებს: ხელში არაფერი უჭირავთ და რის ჩაბარებას აპირებენო.

როცა მივედით იქ, სადაც უნდა ჩაგვებარებინა, პალტოები გავიხადეთ. უცებ რუსის ქალმა გაიხედა ფანჯარაში და გვეუბნება: „თოვლი მოდისო... რას შვრებით, ხალხო, სიცივისგან დაიხოცებითო“...

მაისის შუა რიცხვებში თოვლი მოვიდა!... მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე და ურყევი იყო, რომ ვუთხარით: „არაფერია!..“ გავიხადეთ პალტოები, ჩავაბარეთ და იმ საღამოს „არაგვში“ ერთი ისე მაგრად ვიქეიფეთ, რომ მთელი ფული იქ დავტოვეთ... ასეც ხდებოდა...

## 155 სპექტაკლის რეჟისორი

სადიპლომო სპექტაკლი ვილნიუსის რუსულ დრამატულ თეატრში დავდგი. ვგამდი სპექტაკლებს კაუნასშიც, მუსიკალურ თეატრში. იქ სეზონნახევარი ვიმუშავე. დაიწყო ჩემი დამოუკიდებელი სარეჟისორო ცხოვრება...

მაგრამ მოვიდა ჩემთან დიდი ქართველი მოღვაწე **მიხეილ კვესელავა** და შემომთავაზა, საქართველოში დავბრუნებულიყავი. დავიწყე მასთან, თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობა. ამავე დროს თეატრის კარებიც ჩემთვის ღია იყო... უკვე ხმები დადიოდა, რომ არ ვიყავი უნიჭო კაცი... მაგრამ თბილისში მაინც ვერ გავბედე და წავედი გორში. იქ ვატარებდი რეპეტიციებს. იქ მუშაობდა ცნობილი ქართველი რეჟისორი **ვასილ ყუშიტაშვილი** – მაღალი რანგის ინტელექტუალი. მასთან ერთად გატარებული წელიწადნახევარი უბედნიერესი პერიოდი იყო ჩემთვის. შემდეგ კი ცნობილმა რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა შემომთავაზა მარჯანიშვილის თეატრში დამედგა სპექტაკლი... გადავწყვიტე, დამედგა გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, თან ვფიქრობდი, ვინ დამამტკიცებს-მეთქი მე რეჟისორად იმ თეატრში, სადაც მოღვაწეობდნენ: **ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი...**

„ხვალვე დაიწყე მუშაობაო“ – მითხრა **ვახტანგ ტაბლიაშვილმა.** ეს ახალგაზრდა რეჟისორისთვის დიდი გამართლებაც იყო და დიდი გამოცდაც... კარგადაც აეწყო ჩვენი მუშაობა. საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა და იმ დებიუტის შემდეგ დავრჩი მარჯანიშვილის თეატრში.

ბევრ თეატრში მიმუშავია: 26 წლის ასაკში ქუთაისის თეატრის მთავარი რეჟისორი ვიყავი. სპექტაკლები მაქვს დადგმული საქართველოს თითქმის ყველა თეატრში... მიწვევდნენ და მეც ძალიან მიყვარდა ასეთი გასვლითი სპექტაკლები. ოზურგეთშიც დამიდგამს სპექტაკლი, ბათუმშიც... ბათუმში განსაკუთრებულ ჟანრშიც ვმუშაობდი. ბათუმის საოპერო თეატრში, რომელიც **ალეკო ხომერიკმა** დააარსა, „აიდა“ დავდგი. ოპერაშივე მაქვს დადგმული „ქეთო და კოტე“.

თბილისის მუსიკალურ თეატრშიც რამდენიმე სპექტაკლი მაქვს დადგმული. **ვფიქრობ, რეკორდსმენი ვარ დადგმული სპექტაკლების რაოდენობით – 155 სპექტაკლი დავდგი.**

ბოლოს, ბათუმის თეატრში, შესანიშნავი ქართველი მწერლის **ოთარ ჭილაძის** პიესაზე ვიმუშავე. „წათეს წითელი წაღები“ 155-ე იყო ჩემთვის...

ცხოვრება მუშაობის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

ახლაც დავიწყე ძალიან საინტერესო იდეის განხორციელება. არის ასეთი ბრწყინვალე მომღერალი – ლადო ათანელი, რომელიც ამჟამად ევროპაშია, „ლასკალაში“ მღერის. მისთვის სცენარი შევქმენით, სადაც ის მთავარ როლს ითამაშებს და თან იმღერებს. იქნება ნაწყვეტები ოპერებიდან...

სულ ვმუშაობ, არ ვარ გაჩერებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ ინტენსივობით ვეღარ, როგორც უწინ...

წელიწადში 4-5 სეპქტაკლს ვდგამდი, მაგრამ მხოლოდ თეატრით არ ვიფარგლებოდი. ვმუშაობდი კინოშიც. ბევრი ფილმი გადავიღე, მათ შორის ყველაზე პოპულარული „დათა თუთაშხია“ აღმოჩნდა. ვწუხვარ ბევრი სპექტაკლი აღარ არსებობს. არც ფირზეა შემონახული. კინოფილმები კი დღესაც გადის და ამით კიდევ ვახსოვარ ხალხს, როგორც რეჟისორი...

## რეჟისორი, პოლიტიკა და ოჯახი

**შვიდი წელი თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ვიყავი, მაგრამ შემდგომ გაირკვა, რომ წლოვანებით არ შევეფერები ამ თა-**

**ნამდვილობას. მე კი ვიკითხე: „აქ მორზენლად ვმუშაობ თუ ფეხბურთელად-მეთქი?“... მაგრამ ყოფილა ასეთი იდიოტური კანონები განათლების სისტემაში. წამოვედი, სხვა რა გზა იყო, სტუდენტებს ვასწავლი მაინც. მყავს 5 ახალგაზრდა რეჟისორი. მე-4 კურსზე არიან უკვე...**

**რაც შეეხება პოლიტიკას... მივედი პოლიტიკაში, როცა მეგონა წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი... ორჯერ ვიყავი პარლამენტის წევრი და მერე გადავწყვიტე ამ საქმისთვის თავი დამენებებინა. იმდენი დრო მიჰქონდა ამას, იმდენი ენერგია... მე ჩემს ძირითად პროფესიას მსურდა მთელი ძალით დავბრუნებოდი... მაგრამ მერეც ისე ვითარდება მოვლენები, რომ გინდა თუ არგინდა, მთელი ქართული საზოგადოება პოლიტიკაშია ჩართული... როდესაც ვუყურებ, რომ შენი ქვეყნის ბედი წყდება და შენც რაღაც მოგეკითხება, როცა აინტერესებთ შენი აზრი თუ პოზიცია, იძულებული ხარ, გამოხატო...**

ასე რომ პოლიტიკაში ვართ ჩართულები იმიტომ, რომ დღეს სხვა გზა აღარ არის.

ფანატიკურად მიყვარს ჩემი პროფესია, მაგრამ ყველაზე მეტად მიყვარს ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა. მთელი ცხოვრება ვცდილობდი, რომ ქართველი მეჩვენებინა სცენაზე თუ ეკრანზე ისეთი, როგორიც არის... მელაპარაკა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე.

ჩემს ენერგიას აათკეცებდა და მუდამ მხარს მიბამდა მეუღლე, შესანიშნავი მსახიობი და პიროვნება **ქეთევან კიკნაძე,** რომელთანაც 50 წელიწადია ვცხოვრობ. მან შემიქმნა მშვენიერი ოჯახი და ყოველთვის, ყველანაირად ხელს უწყობდა ჩემს საქმიანობას.

არ შემიძლია აქვე არ ვახსენო ჩემი უფროსი და **მარიკა ლოთრქიფანიძე.** ის ჩემზე ხუთი წლით არის უფროსი და მამის სიკვდილის შემდეგ თითქოს მასზე ვიყავი დამოკიდებული. არ შემრცხვება თუკი ვიტყვი, რომ ის არის დღემდე ჩემი ჭკუის დამრიგებელიც, დიდი პატრიოტიც, დიდი ქართველი ქალიც... მან ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა მოახდინა.

ჩემი უფროსი ქალიშვილი, არაჩვეულებრივი ქალი **ნინო ლორთქიფანიძე** უკვე ბებია გახდა. ვარ ბედნიერი, რომ უკვე შვილთაშვილიც მყავს, ნინოს შვილიშვილი... ნინო რომ უკვე ბებიაა, ამას ვერაფრით შევეგუებივარ...

ჩემი მეორე ქალიშვილი **ნანა ლორთქიფანიძე** ძალიან კარგი მსახიობია. რამდენიმე საინტერესო ეკრანული სახე შექმნა. ისიც მალე გახდება ბებია – იმიტომ, რომ ქეთი გაგვითხოვდა...

ჩემი უმცროსი ქალიშვილი **მაიკო ლორთქიფანიძე** არ არის თეატრში, მაგრამ ხელოვნებას ემსახურება. მან მაჩუქა ორი ისეთი შვილიშვილი, რომელზეც ჭკუას ვკარგავ...

* * *

დღეს ძალიან უჭირს ქართულ კინოს. აღარ არსებობს ეპითეტი „ქართული კინოს ფენომენი“... მაგრამ გაუთავებლად სავსეა ტელეეკრანები სამხრეთამერიკული იდიოტიზმებით...

რა თქმა უნდა, უკმარისობა მაქვს, ჩემი სამშობლოს ყოფას რომ ვუყურებ.

თითქოს მივიღეთ დამოუკიდებლობა, მივიღეთ ე. წ. თავისუფლება და ჯერ კიდევ სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდით... იმ სახელმწიფოდ, რომელიც გაუძლებდა ყველა იმ სირთულეს, რაც ჩვენს გარშემო ტრიალებს. მაგრამ ჩვენ, ადამიანები ხომ ყველაფერს ვუძლებთ...

**საუბარი ჩაიწერა**
**ეკა ბარდანაშვილმა,**
**მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტმა**

**კიდევ ერთი ლამაზი ტრადიციის აღდგენას ჩაეყარა საფუძველი.**

თბილისში, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ცნობილ ქართველ მხატვრებს მარგარიტა და შოთა მეტრეველებს შესანიშანვი სალონი ჰქონდათ, სადაც მათი ნამუშევრები იყო გამოფენილი. იქაურობას ეპოქის ცნობილი პიროვნებები სტუმრობდნენ და ულამაზესი საღამოებიც იმართებოდა. მერე საქართველოში სალონისთვის უკვე აღარავის ეცალა. და ეს მშვენიერი ტრადიციაც დავიწყებას მიეცა.

მხატვრების შვილმა, მოქანდაკე და პოეტმა მერაბ მეტრეველმა, ქალიშვილთან ერთად, გადაწყვიტა აღედგინა მშობლების ტრადიცია... და მართლაც, არაერთმნიშვნელოვნად დასამახსოვრებელი პრეზენტაცია მოაწყვეს ახლადსულჩადგმულ სალონში, რომლის კედლებსაც დღესაც შემორჩენია სითბო იმ ადამიანებისა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს უახლესი წარსულის ქართულ კულტურაში.

არტ სალონ „ლაინში“ (ამ სახელს ორი განმარტება აქვს: ძველ ქართულად „ტილოს“, ხოლო ინგლისურად „ხაზს“ ნიშნავს) თითქოსდა თავად გვეგებებოდნენ სახლის ძველი მასპინძლები, რადგან მომენტალურად მოვხვდით ნახატების იმ გარემოცვაში, საიდანაც უდიდესი სითბო და ნიჭიერება იღვრება. ამ ფერწერულ ტილოებს არაჩვეულებრივად ერწყმის ბატონი მერაბის მიერ შექმნილი ქანდაკებები და მთლიანობაში თავისთავად იქმნება ის სულიერი გარემო, კვლავ დათვალიერების სურვილი რომ გვიჩნდება...

პრეზენტაციას ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები სტუმრობდნენ. იქ განსაკუთრებით იგრძნობოდა მაღალი განწყობილებები, მაღალი სტილი, რაც ასე გვჭირდება XXI საუკუნის ადამიანებს.




თავისთავად ცხადია, მკითხველისთვის საინტერესოა, რას ფიქრობენ მასპინძლები და მათი სტუმრები:

**მერაბ მეტრეველი** (მოქანდაკე, პოეტი) მოხარული ვარ, რომ აღსდგა ის ტრადიცია რაზეც გავიზარდე და რასაც ნაწილობრივ ეზიარა ჩემი ქალიშვილი თათია. ძალიან მინდა ჩვენი სალონი იყოს თავშესაფარი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქმნიან ჩემი ერის კულტურას. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით არ დაიკარგოს ის სითბო და ხიბლი, რითაც ოდესღაც გაჯერებული იყო ეს გარემო. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**ვაჟა აზარაშვილი** (კომპოზიტორი) აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი საღამოთი. ამ სილამაზემ და სითბომ მართლაც, გაგვახსენა ის პერიოდი, როდესაც ადამიანებს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. მე მგონია აქ ხშირად შევიკრიბებით, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ სიახლეები და ხელი შევუწყოთ ჭეშმარიტი ხელოვნების განვითარებას.

**ოთარ ტატიშვილი** (კომპოზიტორი) დღევანდელ საღამოზე ჩემს მოსწავლესთან, მომღერალ პაატა თედიაშვილთან ერთად მივედი. მინდა არასოდეს დაირღვევს თაობათა კავშირები. დღევანდელი საღამო მიგვანიშნებს, რომ აქ ეს მართლაც ასე იქნება. მადლობა მერაბს და თათიას, ამ არაჩვეულებრივი სალონის აღორძინებისთვის.

**მანანა დანგაძე** (პოეტი, მუსიკოსი) ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი ამ მშვენიერ ვერნისაჟზე. დღევანდელი საღამო ნამდვილად ხელოვნების ზეიმია. ვიგრძენი როგორ გვიყვარს ერთმანეთი და როგორ გვიხარია ერთმანეთის წარმატება. მჯერა, ყოველი საღამო, გატარებული ამ სალონში კიდევ უფრო მეტად აღგვავსებს სულიერი მუხტით და სილამაზით.

**ნანა ცინცაძე** (ექიმი, პოეტი) დღევანდელმა საღამომ იმ დროში გადამახედა, როდესაც ქალებს „კრინოლინიანი“ კაბები ეცვათ და ძალიან ხშირად უწევდათ მაღალ საზოგადოებაში სალონური საღამოების სტუმრობა. დღევანდელი საღამო ჩემთვის ნიჭიერებისა და სილამაზის ზეიმია. მადლობა მასპინძლებს, ამ ლამაზად მოწყვეტილი წამებისთვის...

**მარი ჟორჟოლაძე**

# რუსეთის ახალი საბრძოლო არსენალი

## თავდასხმები ბეტეერებისა და თვითმფრინავების გარეშე

დიდი ხანია გვესმის და ჩვენს ცნობიერებაში თითქმის ისტერიულადაა აღბეჭდილი, რომ რუსეთის იმპერია მალე თავს უნდა დაგვესხას. ზოგჯერ ზუსტ თარიღებსაც ასახელებენ. საზღვრები დარღვეულია, ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე დგას. საბრძოლო ტექნიკა მზადყოფნაშია და როგორც აცხადებენ, ქართული ჯარიც ყაზარმულ მდგომარეობაშია.



თანამედროვე მსოფლიოში თავდასხმის და თავდაცვის ალტერნატიული საშუალებები არსებობს.

ამჟამად რუსეთ-ესტონეთის მოდერნიზებულ თავდასხმა-თავდაცვაზე მოგახსენებთ, რომელიც ე. წ. კიბერსივრცეში განხორციელდა.

რუსეთ-ესტონეთის უკანასკნელი გამწვავებული დაპირისპირებისას, რაც ბრინჯაოს რუსი ჯარისკაცის ქალაქის ცენტრიდან გადატანის მცდელობით დაიწყო, დაძაბულობა პიკს აღწევდა, რუსმა ჰაკერებმა ესტონეთის რეფორმატორული პარტიის (ვისი ლიდერიც ესტონეთის პრემიერ-მინისტრია) ინტერნეტ-საიტი შეამტვრიეს და მთავარ პორტალებზე რუსულენოვანი ტექსტები დადეს. რუსმა ჰაკერებმა თანდათანობით დაიპყრეს ესტონეთის ყველა სამთავრობო ვებგვერდი. შეუძლებელი გახადეს საკუთარი საიტების დანიშნულებისამებრ გამოყენება თვით პარლამენტის წევრებისთვის.

მცირე ხნის ინტერვალით შეუტიეს ქვეყნის წამყვან ბანკს „Hansapank“, ხოლო ორი კვირის შემდეგ ამავე გზით, სამუშაო პირობები შეუწყდა სიდიდით მეორე „SEB Est Uhispank“-ს.

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პავტი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აცხადებს, რომ ესტონეთიც და ევროპის საბჭოც მოხვდნენ რუსი ჰაკერების „;ქარცეცხლიან შემოტევებში“.

იუსტიციის მინისტრი კი ესტონეთის ტელევიზიის ეთერში შეშფოთებული აცხადებს: ანალიზის მიხედვით გაირკვა, რომ „შეტევები“ მოდის მოსკოვის სახელმწიფო დაწესებულებებიდან, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს – რუსეთში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებმაც ყოველგვარი გონივრულობა დაკარგეს.

ესტონეთის თავდაცვის მინისტრი საპასუხო ვირტუალურ დარტყმებზე საუბრობს, რომელიც ნატოს ეგიდით უნდა განხორციელდეს.

სპეციალისტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ ესტონეთი გახდა თანამედროვე მძლავრი კიბერიარაღის პოლიგონი.

ნატოს გენერალური მდივანი იააპ დე ჰოოპ სხეფერი ძალიან შეშფოთებულია და ბრიუსელში განაცხადა, რომ ალიანსისთვის კიბერთავდაცვა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა.

ესტონეთზე კიბერთავდასხმების ხასიათს სწავლობენ ნატოს და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტები.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ამგვარ ჰაკერ-თავდამსხმელების პოვნა ძალიან რთულია, რადგან ისინი შესაძლოა პლანეტის სხვადასხვა წერტილში იყვნენ მობილიზებულნი.

ევროპის საპარლამენტო ანსამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომ კიბერდანაშაულობასთან ბრძოლას ორგანიზაციის პრიორიტეტული ამოცანა უწოდა...

ბრძოლები და თავდასხმები გრძელდება.

როგორ დახვდება საქართველო რუსეთის ახალ საბრძოლო არსენალის შემოტევებს? რუსეთ-საქართველოს ბრძოლის ველი ისედაც ზედმეტად შთამბეჭდავად გამოიყურება, რასაც ვირტუალური თავდასხმების ალბათობაც ერთვის...

თუ როგორია ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქართული საბრძოლო არსენალი და სპეციალისტთა რანგი და დონე ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს.



**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის კუდს ნაჭრებად ჭრიან

**იმაში, რომ მოსკოვი ინარჩუნებს დაძაბულობას საქართველოსთან ურთიერთობაში, არაფერია გასაოცარი. ბოლოს და ბოლოს, საქართველო არის გასაღები კავკასიაში და მისი გაკონტროლება ნიშნავს რუსეთის გეოპოლიტიკური პოზიციის გაძლიერებას როგორც შავ ზღვაზე, ახლო აღმოსავლეთში, ისე ცენტრალურ აზიაში.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე შეეხება მოსკოვის გადაქცევას უფრო მნიშვნელოვან მოთამაშედ ეგრეთწოდებულ დიდ თამაშში, სადაც ფსონია კოლოსალური ენერგეტიკული მარაგები და სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც, თავის მხრივ, ნიშნავენ ხელისუფლების ამაღლებას ან დაცემას.

რუსეთი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგა ზესახელმწიფოს სტატუსი, განიცდის ეკონომიკურ, დემოკრატიულ კოლაფსს, ამის შედეგად იგი გადაიქცა განვითარებად სახელმწიფოდ სერიოზული ეკონომიკური პრობლემებით და ბირთვული იარაღით. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს მიიღოს აქტიური მონაწილეობა მსოფლიო კორპორაციების ხელმძღვანელობაში და გახდეს მნიშვნელოვანი მოთამაშე ეგრეთწოდებულ დიდ თამაშში.

როგორც ითქვა, საქართველოს აქ ეკუთვნის მნიშვნელოვანი ადგილი. ამ დროს 2008 წლის აგვისტოს ომმა გვიჩვენა, რომ, პრინციპში, რუსეთის მიზანი ამ სახელმწიფოში სავსებით მისაღწევია. მთავარია მხოლოდ, ნაწილებად დაჭრა ძაღლის კუდი.

მაგრამ ვკითხოთ ჩვენს თავს, რა მიზნები აქვს ამჟამად რუსეთს საქართველოში? დასაწყისისათვის უნდა აღვნიშნოთ ორი არსებითი ფაქტორი.

ჯერ ერთი, მოსკოვი არასოდეს ურიგდებოდა იმას, რომ აზერბაიჯანის გაზი და ნავთობი, უფრო ვრცლად კი მთელი კასპიის ზღვისა, მიდის მსოფლიო ბაზარზე რუსეთის კონტროლიდან გამოსული საქართველოს ტერიტორიის გავლით.

მაშასადამე, რუსეთმა საქართველოში უნდა მოიპოვოს ისეთი პოზიცია, რომ შეეძლოს, სურვილის შესაბამისად გახსნას ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა ნავთობსადენებით ბაქოდან ჯეიჰანამდე.

მეორეც, რუსეთს კავკასიაში აქვს სრულიად კონკრეტული სამხედრო ინტერესები. მოსკოვის სამხედროების ყოფნა მისი ძირითადი გეოპოლიტიკური მოკავშირის სომხეთის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს რუსეთის პოზიციას როგორც მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორს რეგიონში. მაგრამ სომხეთის გეოგრაფიული იზოლაციის გამო ამას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა, ვინაიდან სახმელეთო დერეფნების უქონლობა ართულებს მასშტაბურ, ოპერატიულ და მოქნილ მოქმედებებს.

აქედან გამომდინარეობს სწორედ მოსკოვის მიზნები საქართველოში. უწინარეს ყოვლისა უნდა ჩამოაშოროს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის მთავრობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად და რომელმაც გამოიყვანა ქვეყანა რუსეთის კონტროლიდან. აგვისტოს ომის შემდეგ ამას ვერ მიაღწია, მაგრამ მოსკოვმა გააკეთა თავისი დასკვნები დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. იგი იყენებს ამჟამად საქართველოში არსებულ საყოველთაო უკმაყოფილებას და მიმართავდა იგივე ტაქტიკას მისთვის სასურველი რეჟიმის გასამყარებლად.

მაგრამ მოსკოვში შეიგრძნობენ, რომ, როგორი წარმატებულიც უნდა იყოს მისთვის გარკვეულ ეტაპზე ხროვა, მდგომარეობა პოლიტიკური ცის კაბადონზე შეიძლება, ადრე თუ გვიან, შეიცვალოს. ამიტომ კრემლმა გადაწყვიტა, აწარმოოს საქართველოსთან გაცილებით უფრო რადიკალური დამოკიდებულება და მთლიანად გახლიჩოს ეს სახელმწიფო. ამის შესაძლებლობას იძლევა ეთნიკურ-რელიგიური გათიშულობა საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, დღეისათვის (ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალშიძ ისინი საბოლოოდ მოწყვეტილი არიან საქართველოსგან. მაგრამ განვითარებისათვის ადგილი ჯერ კიდევ არის: აჭარა, სადაც უმეტესად ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები და აზერბაიჯანელებით და სომხებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები საშუალებას აძლევს მოსკოვს, დაანგრიოს ძლიერი ცენტრალური მთავრობა საქართველოში და საქართველოს მთლიანობის ერთგული შეიარაღებული ძალები. სპეცსამსახურების განადგურების შემდეგ მას შეუძლია შექმნას სახელმწიფოსგან ერთგვარი გენერაცია ან კონფედერაცია მოსკოვის მიერ წარდგენილი მარიონეტებით, რომლებსაც იგი წარმართავს წმინდა სტალინურად, თამაშით ერთისა მეორის წინააღმდეგ.

კრემლს უკვე აქვს ყოველივე ამის განხორციელების გეგმები. მოსკოვის ამოცანა ამჟამად არის დასავლელი ქვეყნების მდუმარე თანხმობა იმაზე, თუ როგორ მოაჭრას მორიგი ნაჭერი ძაღლის კუდს.

არსებითად ამას უკვე მიაღწია. დასავლეთის მხრიდან უკვე დიდი ხანია ისმის ბურტყუნი სააკაშვილის დიქტატორული ჩვევების გამო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ საქართველოს აღარ მიჰყიდის იარაღს. როგორც ტყვია ცხელ ქვიშაში გადნა ყველა ის მრავალრიცხოვანი პოლიტიკოსი და ექსპერტი მრჩეველი საქართველოსთვის , რომლებიც ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ბლომად იყვნენ თბილისის ცენტრში.




სამხედრო მეთვალყურეები ერთსულოვანი არიან იმაში, რომ სამხედრო თვალსაზრისით საქართველო არ არის დაბრკოლება რუსეთისთვის, რათა მან განახორციელოს თავისი გეგმები. განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც რუსეთმა ოფიციალურად შეიარაღა სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი და მას ახალი ომის დაწყებისათვის აქვს გაცილებით უფრო მომგებიანი ტაქტიკური პოზიციები, ვიდრე ეს იყო აგვისტოს ომის წინ.

მაგრამ მოსკოვში — დასავლეთისაგან განსხვავებით — სრულად განსაზღვრავენ, რომ კუთხეში მიმწყვდეულ, დასავლეთისაგან განაწყენებულ და რუსეთისგან დანდობის არმომლოდინე სააკაშვილს არ გააჩნია სხვა შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ ხმამაღლა მიიჯახუნოს კარები და წავიდეს სცენიდან. ამის თავიდან აცილებას კი, შესაძლებლობის შესაბამისად, ელოდება კრემლი.

ამიტომ, ცხადია, გააგრძელებენ ძაღლისთვის კუდის მოჭრას ნაჭრებად. ბოლოს და ბოლოს, ამგვარად დაგროვილი გამოცდილება გამოადგება მოსკოვს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, მათ შორის ესტონეთშიც.

**მარტ ხელმე**

Eesti Päevaleht

# ბრიტანეთის დეპუტატები მოითხოვენ რუსეთთან უფრო მკაცრ დამოკიდებულებას

**დიდმა ბრიტანეთმა და ნატოს წევრმა სხვა ქვეყნებმა უნდა დაიკავონ უფრო მკაცრი ხაზი რუსეთთან ურთიერთობაში, მიაჩნიათ ბრიტანეთის წარმომადგენელთა პალატის თავდაცვის კომიტეტში.**

ბრიტანელმა პარლამენტარებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად მოსკოვთან თანამშრომლობის აუცილებლობისა ბევრ სფეროში, ეს არ ნიშნავდეს „რუსეთის გავლენის სფეროს აღიარებას“.



დიდმა ბრიტანეთმა უნდა კვლავაც დაბეჯითებით მოითხოვოს რუსეთის ჯარების გამოსვლა საქართველოს ტერიტორიიდან, ნათქვამია მოხსენებაში.

დეპუტატები მოუწოდებენ მთავრობას, უფრო ენერგიული რეაგირება მოახდინონ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების ფრენაზე დიდი ბრიტანეთის საჰაერო სივრცის მახლობლად.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ასეთი ფრენები „არ არის მეგობრული ქვეყნის მოქმედება და ისინი ქმნიან ვითარების დაძაბულობის რისკს“.

საპარლამენტო კომიტეტი მოუწოდებს მთავრობას, დაიკავოს უფრო სწორი პოზიცია, რომელიც დაემყარებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეალიებს.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ, მართალია მოსკოვი არც წარმოადგენდა პირდაპირ საფრთხეს ბრიტანეთის უშიშროებისათვის, საქართველოში შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ უნდა გვესმოდეს ნატოს ზოგიერთი იმ წევრი ქვეყნის შიში, რომლებიც ესაზღვრებიან რუსეთს.

განცხადებაში არის აგრეთვე მოწოდება ნატოსადმი, მიიღოს მოქმედებათა კონკრეტული გეგმები საგანგებო სიტუაციების შემთხვევისათვის, რათა შეამსუბუქოს საშიშროება ქვეყნების უსაფრთხოებისათვის.

„როგორი სასურველიც უნდა იყოს თანამშრომლობა რუსეთთან, იგი არ უნდა მივაღწიოთ რუსეთის ერთგვარი გავლენის სფეროს სამართლიანობის აღიარების ხარჯზე“, — ნათქვამია მოხსენებაში.

მართალია დეპუტატები მიესალმნენ კიდეც დიალოგის განახლებას ნატოსა და რუსეთს შორის, ისინი აცხადებენ, რომ ალიანსმა უნდა განიხილოს არა მხოლოდ თანამშრომლობის საკითხები, არამედ ილაპარაკოს აზრთა სხვადასხვაობის შესახებაც, რომელთა შორისაც არის რუსეთის სწრაფვა გავლენის სფეროსაკენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ევროპის სასამართლომ დაავალდებულა რუსეთი, გადაუხადოს პენსიები ებრაელებს, რომლებმიც ემიგრაციაში წავიდნენ სსრ კავშირიდან.**

ემიგრაციის შემდეგ პენსიონერებმა დაკარგეს პენსიები, რომლებიც გამოიმუშავეს საბჭოთა კავშირში. რუსეთის ფედერაციის ახალ საპენსიო კანონმდებლობაში ისინი ვერ მოხვდნენ. რუსეთის სასამართლოები ღებულობდნენ საპირისპირო გადაწყვეტილებებს. ევროპის სასამართლო დაეხმარა მათ სიმართლის გარკვევაში.

* * *

**ჩინეთის ურუმჩაში დახურეს მეჩეთები, ქუჩებში დადიან პატრულები და აგიტბრიგადები**



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის ცენტრში, სადაც 5 ივლისს იფეთქა მასობრივმა უწესრიგობამ, სიტუაცია თანდათან ნორმალიზდება, მაგრამ ქალაქში შენარჩუნებულია დაძაბული ატმოსფერო.

* * *

**მიწისძვრა ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში: არის მსხვერპლი**

შემოსული ინფორმაციით, მიწისძვრით დაზარალდა 1,2 მილიონი კაცი. მთლიანად დანგრეულია 10 ათასზე მეტი საცხოვრებელი ნაგებობა. ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას ამარაგებს ნიჩბებით, საკვებით და მედიკამენტებით. უბედურების რაიონებში მუშაობენ მაშველთა ჯგუფები.

* * *

**ბრაზილიაში უხელისუფლებობაა: პრეზიდენტი იტალიაშია, ვიცე-პრეზიდენტს გაუკეთეს სასწრაფო ოპერაცია კიბოს გამო**

კიბო ბრაზილიის ვიცე პრეზიდენტს აღმოუჩინეს 11 წლის წინათ. ამ ხნის განმავლობაში ალენ კარმა გადაიტანა 14 ოპერაცია. ყველაზე ხანგრძლივი მათგან გაგრძელდა 17 საათის განმავლობაში. ამჟერად დროებითი ხელისუფლება, კონსტიტუციის თანახმად, უნდა გადავიდეს ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეზე.

* * *

**ბასკეთის ძალაძ დურანგოში გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა**

როგორც თვითმხილველები ამტკიცებენ, ნიღბიანმა კაცმა ბასკების სოციალისტური პარტიის შენობაში ჩადო პაკეტი, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ აფეთქდა. შედეგად შენობას მიადგა სერიოზული მატერიალური ზარალი. მსხვერპლი არ არის.

**სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი“ აცხადებს:**
**2009 წლის 31 ივლისს, პარასკევს, 14 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება, მისამართი 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №39 (საზოგადოების ოფისი ქ. თბილისში).**

**დღის წესრიგი:**

2008 წლის სამეურნეო-ფინანსური ანგარიში.

სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**ბ. გოგრონიძე**

**რეკონსტრუქცია**

# მცხეთა უფრო იმცხეთებს



**ვინ მოსთვლის, რამდენი ჭირ-ვარამი გადაუტანია იბერიის უპირველეს დედაქალაქს: სპარსები და ხაზარები, თურქები და მონღოლები, სელჯუკები და არაბები... ვინ აღარ არბევდა, წვავდა და აპარტახებდა. 736-738 წელს მურვან II იბნ მუჰამედმა (მურვან ყრუმ) მიწასთან გაასწორა მისი ქუჩა-უბნები. მას შემდეგ მცხეთა ქალაქად აღარ მოიხსენიება. სულ ბოლოს კი ლეკიანობამ მოუღო ბოლო, „ორი სახლიდანღა ამოდიოდა კვამლიო“ — წერს მემატიანე.**

**იავარქმნილი** ქალაქის დასახლება ისევ და ისევ ქართული ქრისტიანული სარწმუნოების თავგვირგვინის სვეტიცხოვლის გარშემო დაწყებულა, რადგან: **„მრავალი ღირსშესანიშნავი სიწმინდეა საქართველოში, მაგრამ სვეტიცხოველს ყოველი ქართველისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი, ცხოველმყოფელი ძალა აქვს. ეს იმიტომ, რომ სვეტიცხოველთან ერთად IV საუკუნეში იშვა ქართველი ხალხის ახალი, ქრისტიანული ცხოვრება“, — წერდა ალექსანდრე ცაგარელი.**

**„...არ არის საქართველოში ისეთი სიწმინდე, რომელიც გაუტოლდებოდა სვეტიცხოვლის სიძველეებს, სიდიადით, ისტორიული მოგონებებით და ღვთიური განგებულობით“ — აღნიშნავდა ანტონ ნატროშვილი.**

მაგრამ ეს შენობები იყო ქაოსურად ნაგები, უსახური, ტყუპისცალივით ერთმანეთის მიმსგავსებული, ამორტიზებული. გალავნის გარე მინაშენები ამახინჯებდნენ ტაძრის შემოგარენს, რაც არ ეკადრებოდა არც იბერიის უძველეს დედაქალაქს და მით უმეტეს ქრისტეს კვართის უწმინდეს ადგილს.

2008 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ქალაქ მცხეთის უბნების რეკონსტრუქციის დაწყებისათვის, გამოიყო მილიონი ლარი, რომლის ათვისებისთვისაც კულტურული მემკვიდრეობის ფონდის (გენერალური დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დავით ნინიძე**) პროექტის მიხედვით დაიწყო სამუშაოები კომპანია „არტესმა“ (დამფუძნებლები — **ამირან ჟღენტი, ზაზა კაპანაძე**), რომელმაც საკმაო გამოცდილება შეიძინა სიღნაღში და თბილისში (კალოუბანი) მუშაობისას.

**— საქმის დაწყებამდე უნდა შეისწავლო პროექტის მსხვილმან-წვრილმანი, გაითვალისწინო ავტორის ყველა გააზრება, გაეცნო სარესტავრაციო ობიექტის ისტორიას, პასუხისმგებლობა იგრძნო იმ საქმისადმი, რომელსაც ხვალ და ზეგ შენი ხელი უნდა დაატყო. როგორ შეიძლება საქართველოს ისტორიის ფუძეს და დვრიტას, ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის ქალაქს ისე არ შეხედო, როგორც ყველა ქართველი მამულიშვილი უნდა ხედავდეს, ამიტომაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ არ შევრცხვეთ როგორც აწმყოს, ისე მომავლის წინაშე. ამ მხრივ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა, რომ არა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მცხეთა-მთიანეთის მხარეში ბატონ ცეზარ ჩოჩელის და მცხეთის რაიონის გამგებლის ბატონ თემურ აბაშიძის ყოველდღიური დახმარება და გვერდში დგომა. აი, ამას ჰქვია პატრიოტიზმი, ჩვენი ისტორიის თავგვირგვინის მცხეთის სიყვარული,** — ამბობს **ამირან ჟღენტი.**



## როგორც უძველეს სატახტოს ეკადრება

პროექტის დამტკიცებისთანავე მცხეთელმა გამოცდილმა ინჟინერმა, მცხეთის პატრიოტმა ვანო მარტოლეკმა შეკრიბა ბრიგადა, რომლის წევრებმაც სურვილი გამოთქვეს მშობლიური ქალაქის რეკონსტრუქციაშიც მიეღოთ მონაწილეობა, აი ისინიც: **რეზო ელოშვილი, თემურ სოხაშვილი, მირიან დალაქიშვილი, ალექსანდრე მაღალოვი, დიმიტრი შარიფაშვილი, მიხეილ ალიბეგაშვილი, გიორგი ხიზანიშვლი, ბეჟან ბერინაშვილი, ვახტანგ სადაღაშვილი, ვლადიმერ კოზმანაშვილი, ჯემალ მარტოლეკი, ნუგზარ ნათაძე, ავთანდილ შენგელია.**

**— იმაზე სასიხარულო არაფერია, როდესაც შენი საყვარელი ქალაქის მშენებლობა-გამშვენებაში იღებ მონაწილეობას.**

მთელი დღის განმავლობაში არ ცხრებოდა მუშაობა არსუკიძის, გამსახურდიას და კალანდაძის ქუჩებში. სახეს იცვლიან სახლები, შენდება გადმოკიდებული რიკულებიანი აივნები, ახალ იერს იღებენ ფასადები, იხსნება დაჟანგული თუნუქის სახურავები, მათ ადგილს იკავებს წითლად მოხასხასე კრამიტი, თლილი ქვით იმოსება ეზოების ღობეები, აიყრება ტროტუარების გუდრონით ჩაშავებული ქვაფენილი — მას შეცვლის ქვიშაქვის კვადრები, რაც სილამაზეს შემატებს ფეხით მოსიარულე გზა-შარას.

**— წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 მილიონი გამოვყავით, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს ქალაქს, მის ისტორიას როგორც შინაარსით, ასევე სილამაზით სიახლე შემატოს ცენტრალური უბნების რეკონსტრუქციამ,** — გვეუბნება ბატონი **თემურ აბაშიძე.**

**— მცხეთაში არ არის მცირე არქიტექტურული ფორმები, დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები: ძეგლები, მემორიალური დაფები, კაპიტალური კომპოზიციები, თვალსაჩინო აგიტაციის მატერიალური ელემენტები, ფეხით მოსიარულეთა ბილიკები, ტრიბუნები, სტაციონარული დანადგარები, სტენდები, ღია კომპოზიციები, მისანიშნებლები, ის, რაც აუცილებელი და საჭიროა მუზეუმ-ქალაქისათვის. ჩვენი სურვილია სვეტიცხოვლის მისასვლელთან მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აშენდეს ბულვარი, რომელიც სილამაზით ერთ-ერთი შესანიშნავი იქნება ამ არემარეში, დაბოლოს, საჭიროა მცხეთის უპირველეს დასახლებას ბაგინეთსაც მივხედოთ, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენ წელთ აღრიცხვამდეა ცნობილი, ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.** — საუბარში გვერთვება ბატონი **დავით ნინიძე.**

სვეტიცხოვლის სამრეკლოდან გამოჭრილი ზარის ხმა გვამცნობს საღამოს წირვის დასასრულს, შავ ნაბადს ისხამს ქართლის მთები, ელექტრონის ნათურები აინთო ჯვარზე, მაგრამ არ წყდება მშენებელთა საქმიანობა, ისევ ფუსფუსებდნენ დურგლები — ვიქტორ და ივანე მაისურაძეები. კალატოზები ამირან მაჭავარიანი, გიორგი დოლენჯაშვილი, მეთუნუქე დავით კუჭაშვილი, ოთარ წიწილაშვილი, შემდუღებელი რევაზ დევიძე და სხვები.

მოვდიოდი და ვჩურჩულებდი ჩვენგან ადრე წასული შესანიშნავი პოეტის ზაურ ბოლქვაძის ლექსის სტრიქონებს:

**ღმერთო, ყველა ქართველს**
**ფიქრი აუცხადე,**
**ხელი მოუმართე,**
**გული გაუმცხეთე.**

**ვალერიან მამუკელაშვილი**

**სურათებზე:** კომპანია „არტესის“ დამფუძნებლები ამირან ჟღენტი და ზაზა კაპანაძე; მშენებლობა არსუკიძის ქუჩაზე.

**ედუარდ გიგილაშვილის ფოტო**



**ინფორმაცია**

### საქართველოს მორიგი აგრესია არ ემუქრება

**ქვეყანაში** სტაბილურობა დადებითად მოქმედებს, როგორც ინვესტიციების შემოდინებაზე, ისევე ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქართული მხარის მუშაობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის შედეგად ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია, მათ შორის — რუსეთის აგრესიის შეჩერებაც.

ლაშა ჟვანიას განცხადებით, ქართული მხარე მუშაობს და ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაც მოტივირებულია, დაიცვას საქართველო, მხარი დაუჭიროს მის ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მიუხედავად ადრე არსებული სერიოზული საფრთხისა, მოცემულ სიტუაციაში, მოსკოვში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მორიგი სამხედრო აგრესია აღარ ემუქრება.

### „გადაღლილი“ ოსები აფხაზეთში დაისვენებენ

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის** მოქალაქეები დასასვენებლად აფხაზეთში ორგანიზებულად მიემგზავრებიან. ამის შესახებ სააგენტო „რეს“-ს ცხინვალის რეჟიმის ე.წ. ახალგაზრდობის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ტურიზმის განყოფილების უფროსმა ფატიმა გიგოლაევამ განუცხადა.

მისივე თქმით, ე.წ. მინისტრი ელეონორა ბედოევა და სამინისტროს სხვა თანამშრომლები აფხაზეთში ვიზიტით იმყოფებოდნენ.

მისი თქმით, თავდაპირველად აფხაზეთში დასასვენებლად ახალგაზრდები და ოჯახური წყვილები გაემგზავრებიან, სულ კი სამ ნაკადად 150 ადამიანის გამგზავრება იგეგმება.

ინტერპრესნიუსი

### საზღვარს ერთობლივად დაიცავენ

**სეპარატისტული** აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა რუსეთსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.

შეგახსენებთ, რომ სეპარატისტულ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმება მიმდინარე წლის 30 აპრილს გაფორმდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „რუსეთი თავის თავზე იღებს აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვას ამ ქვეყნის სასაზღვრო დაცვის ორგანოების ჩამოყალიბებამდე. ანალოგიური დოკუმენტი გაფორმებულია სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთთანაც.

ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი

# რანი ვართ, აწი გამოჩნდება

**ქართულმა კლუბებმა უპრობლემოდ გადალახეს ევროპის ლიგის (ყოფილი უეფას თასის გათამაშების) პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წინაღობა, მაგრამ, მეტოქეთა ნახევრადპროფესიული სტატუსის გათვალისწინებით, სატრაბახოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე – ჩვენს თანამემამულეთა ჭეშმარიტი შესაძლებლობების შესაფასებლად შემდგომი რაუნდი გაცილებით მეტ საფუძველს მოგვცემს, როცა „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" ისეთი გამოცდილი ოპონენტები ეყოლებათ, როგორიც, შესაბამისად, შვედური „ჰელსინგბორგი" და ვარშავის „ლეგია" არიან.**

სიტყვის კაცი აღმოჩნდა ყვირილასპირელთა თავკაცი გია გეგუჩაძე, როცა სტუმრად „ლისბურნთან" იოლი გასეირნების – 5:1 შემდეგ დაგვპირდა, ბიჭებს საპასუხო შეხვედრის წინაც სათანადოდ „დავქოქავ" და არავის მივცემ საბაბს, ჩემს შეგირდთა ქართულ გულარხეინობაზე ისაუბრონო. საკუთარ კოპწია სტადიონზე იმერლებმა სტუმარ-მასპინძლობა დაივიწყეს და ჩრდილოეთ ირლანდიელებს კიდევ უფრო მწარე გაკვეთილი ჩაუტარეს – 6:0 (დვალი – 3, ბენაშვილი – 2, გელაშვილი).

ღირსეულად გაუმკლავდა რუსთაველებს ფარერების „ტორსჰავნი", თუმცა კუნძულელები შინაც ისეთივე ანგარიშით დამარცხდნენ – 0:2, როგორც ქვემო ქართლში. პოლონელებთან მომავალ დუელში ვარლამ კილასონიას გუნდს ერთბაშად ხუთი (!) ბრაზილიელი დაემატება, რომლებიც „ატლეტიკო პარანაენსესთან" ამას წინათ გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად გახდნენ ლეგიონერები. წარმოგიდგენთ „ოლიმპის" სამხრეთამერიკელ დებიუტანტებს:

**ალექს ჟოზე დე ოლივეირა ფრაგა (1986 წ.)** ცენტრალური მცველი. „ატლეტიკო პარანაენსეში" თამაშობდა 2003 წლიდან.

**ჟოზე გილერმე ესტევაო და სილვა ჩოკო (1990 წ.)** ცენტრალური ნახევარმცველი. 17-წლამდელთა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გამარჯვებული. „ატლეტიკო პარანაენსეში" თამაშობდა 2005 წლიდან.

**ჟერონიმო დოს სანტოს ოლივეირა (1989 წ.)** მარცხენა ნახევარმცველი „ატლეტიკო პარანაენსეში" თამაშობდა 2003 წლიდან.

**ჟონატას ოლივეირა კარდოზუ (1983 წ.)** ცენტრალური თავდამსხმელი. „ატლეტიკო პარანაენსეში" თამაშობდა 2003 წლიდან.

**ანდერსონ ანგუს ანკუინო (1986 წ.)** თავდამსხმელი. „ატლეტიკო პარანაენსეში" თამაშობდა 2001 წლიდან.

### ევროპის ლიგა

**I საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო რაუნდის შედეგები:**

**„ბნეი იეჰუდა"** – „სიმურგი" 3:0 (1:0), „კალიუ" – **„დინაბურგი"** 0:0 (1:2), **„შიროკი ბრიეგი"** – „ბანანცი" 0:1 (2:0), **მტზ რიპო** – „სუტიესკა" 2:1 (დამატებით დროში, 1:1), „დინამო" (ტირანა) – **„ლახტი"** 2:0 (1:4), „კეფლავიკი" – **„ვალეტა"** 2:2 (0:3), „ოქჟეტფესი" – **„ზიმბრუ"** 0:2 (2:1), „რენოვა" – **„დინამო" (მინსკი)** 1:1 (1:2), **„რუდარი"** – „ნარვა" 3:1 (3:0), „ირტიში" – **„ჰალადაში"** 2:1 (0:1), „ინტერი" (ბაქო) – **„ტრნავა"** 1:3 (1:2), „ბირკირკარა" – **„სლავენი"** 0:0 (0:1), **„ვეტრა"** – „გრევენმახერი" 3:0 (3:0), „კიერინგი" – **„ანორთოსისი"** 1:2 (0:5), „ლინფილდი" – **„რანდერსი"** 0:3 (0:4), **„რუსენბორგი"** – „რუნავიკი" 3:1 (3:0), **„ვლაჟნია"** – „სლიგო" 1:1 (2:1), **„პოლონია"** – „ბუდუჩნოსტი" 0:1 (2:0), „მიკა" – **„ჰელსინგბორგი"** 1:1 (1:3), ტნს – **„ფრამი"** 1:2 (1:2), „ლანელი" – **„მოზერუელი"** 0:3 (1:0).

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# უსტიაშვილის რჩეულნი



**ოცი წლის კალათბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის B დივიზიონის შესარჩევი მატჩები მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში 16 ივლისს დაიწყება.** ამ შეჯიბრებაზე ჯგუფში ქართველებთან ერთად პორტუგალიელები, შვედები, სლოვაკები და ლუქსემბურგელებიც იბრძოლებენ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა უკვე დაასახელა ტურნირზე წამსვლელთა ვინაობა. სკოპიეში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **უკანახაზელები** – ბექა წივწივაძე , დავით ნანიტაშვილი, ზურაბ მაჭავარიანი, მალხაზ აბაიშვილი, ლევან ცეკვავა; **ფორვარდები** – კოკა ტომარაძე, გიგა კვეტენაძე, ლევან შენგელია, თორნიკე შენგელია, ტატო ჩაჩიბაია; **ცენტრები** – ნიკა მეტრეველი და რიჩარდ მათიაშვილი.

# მოგებით დაიწყეს

**საქართველოს 16 წლის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის პირველობისთვის უკეთ მომზადების მიზნით კიევს ესტუმრა, სადაც უკრაინელ თანატოლებს ამხანაგურ მატჩებში უპირისპირდება.** პირველი შეხვედრა ჩვენმა ბიჭებმა 5 ქულით (68:63) მოიგეს, არადა, დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი უპირატესობით (37:19) გავიდნენ. ეტყობა, მეორე ტაიმში ყურადღება მოადუნეს და კინაღამ დაისაჯნენ.



ჭიდაობა



# მოთელვას ბაქოდან იწყებენ

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ახლახან დაბრუნდნენ წახკაძორიდან, სადაც საერთო ფიზიკური მომზადება გაიარეს.** მსოფლიოს ჩემპიონატამდე ისინი რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ. 17-19 ივლისს ბაქოში ჰეიდარ ალიევის ხსოვნის პრიზზე იჭიდავებენ მალხაზ ქურდიანი, გიორგი ბალიაშვილი (60 კგ), კობა კაკალაძე (66), ნიკოლოზ გაგნიძე (84), ლუკა კურტანიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი და დავით ქერაშვილი (96), დავით ოთიაშვილი და გიორგი საკანდელიძე (120).

ჩოგბურთი

# იღბლიანი სტარტი

**თურქეთში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი), რომელშიც წარმატებით აიღო სტარტი მანანა შაფაქიძემ (723). პირველ წრეში მან ავსტრალიელ ჯეიდ ჰოფერს სძლია 6:3, 6:3. მომდევნო წრეში იგი 16 წლის უკრაინელ იულიანა უნამეცს დაუპირისპირდება.**



ინტერნეტიდან

# დაუღლელი ფელპსი




**ამერიკელმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა პარასკევს გამთენიისას (ჩვენი დროით) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში – ეს მოხდა აშშ ჩემპიონატზე ინდიანაპოლისში.**

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის შედეგია 50,22 წამი, რაც 0,18 წამით უკეთესია რეკორდზე, რომელიც 2005 წელს მონრეალში მსოფლიო ჩემპიონატზე დაამყარა მეორე ამერიკელმა იან კროკერმა.

წინა დღეს ფელპსმა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა; მაგრამ ის რამდენიმე საათში დაამხო მისმა მეტოქემ.

თუმცა კროკერისგან განსხვავებით, ფელპსი ვიწრო პროფილის სპეციალისტი როდია. ამჟამად ის ხუთი ინდივიდუალური მსოფლიო რეკორდის მფლობელია შემდეგ დისტანციებზე – 400 და 200 მეტრი (კომპლექსი), 200 და 100 მეტრზე (ბატერფლაით) და 200 მეტრზე (თავისუფალი სტილით).

ფელპსი 2008 წლის რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონია, მის ანგარიშზეა 14 ოლიმპიური ოქროს მედალი და მსოფლაით ჩემპიონის 17 ტიტული.

# შუმახერი ფეხბურთშიც ყველას სჯობს



**ყველას ეგონა, რომ მატჩი გაცილებით გვიან დაიწყებოდა, ვინაიდან თვითმფრინავი, რომლითაც სპორტის ვარსკვლავები მიხაელ შუმახერი და ფელიპე მასა მოფრინავდნენ, ფრანკფურტის აეროპორტში დაგვიანებით დაჯდა, იქიდან კი ვისბადენამდე 30 კილომეტრია. მაგრამ ავტომანქანის საჭესთან, მათ რომ ელოდებოდა, თავად ავტორბოლაში „ფორმულა-1" 7-გზის ჩემპიონი დაჯდა, ავტობანზე ჩვეული სიჩქარით გაეშურნენ, სწორედ მატჩის დაწყების წინ მივიდნენ სტადიონზე.**

იქ კი ავტომრბოლების გუნდი საქველმოქმედო მატჩში ფეხბურთის, ხელოვნებისა და ტელევიზიის ვარსკვლავებთან შესახვედრად ემზადებოდა.

მართალია, შუმახერმა წონაში ცოტა მოიმატა, მაგრამ პირველი ტაიმი ისე აქტიურად დაიწყო, რომ მთელი მარჯვენა მხარე „ხელში აიყვანა". ის ბევრს დარბოდა, აწოდებდა კუთხურებს, აქეზებდა პარტნიორებს. თუმცა ბოლოს დაღლა მაინც დაეტყო.

მეორე ტაიმში მან თავის თამაშს მიაგნო, ისეთ პასებს იძლეოდა, რომ გულშემატკივრების ტაშს იმსახურებდა. თუ რამე არ გამოუვიდოდა, თავზე ხელებს იტაცებდა ხოლმე. ის გუნდში თავის პარტნიორებზე ფეტელზე, მასაზე, ფიზიკელაზე უკეთესად თამაშობდა. ფიზიკელამ ხომ ხუთი ნაღდი გოლი ვერ გაიტანა.

რასაკვირველია, კლასში განსხვავება ფეხბურთელებსა და ავტომრბოლებს შორის თვალსაჩინო იყო და მაინც ეს უკანასკნელნი აოცებდნენ მაყურებლებს, ერთხელ რიდელმა აუტიდან ბურთი ისე ისროლა, რომ ფეხბურთელების გასაოცრად, თითქმის მთელი მინდორი გადასერა. ძირითადი დროის საბოლოო ანგარიში იყო 3:3. პენალტებში კი ვარსკლავებმა გაიმარჯვეს.

**სურათზე: უტევს მიხაელ შუმახერი.**

# დანიელთან ყველაფერი რიგზეა



**ცნობილმა ბრიტანელმა მოდელმა დანიელ ლოიდმა კვლავ გაახარა თავისი თაყვანისმცემლები. ფეხბურთისადმი მიდრეკილების ლამაზმანმა მონაწილეობა მიიღო „ღია" ფოტოსესიაში ჟურნალისთვის Nuts.**

ლოიდი სპორტსმენების ცნობილი მოყვარულია. თავის მქუხარე „კარიერაში" ეფექტური ლამაზმანი ხვდებოდა მარკუს ბენტს, არმან ტაორეს, ჯერმეინ დეფოს, ჟერარ პიკეს, რაიან ბაბელსა და ტედი შერინგემსაც კი.

ახლა მისი მორიგი შეყვარებულია ჯეიმი ო'ხარა „ტოტენჰემიდან".

აღსანიშნავია, რომ ახლახან დანიელს თავს დაესხა მისი ყოფილი დაქალი და მას ექიმების დახმარება დასჭირდა.

ახლა, როგორც ამბობენ, დანიელი კარგადაა და კვლავ დაამშვენებს მამაკაცთა ჟურნალების ფურცლებს.

**თითქმის ნატურიდან**

# კოტიკოს ვაკანსიები

— ვა, კედელს ჩხირი, გამოჩნდი? — საყვედურობს გიგის საპროტესტო აქციაში შემთხვევით შეხვედრილი მეგობარი.

— რა ვქნა, ძმაკაც, იმდენი სარბენი გამომიჩნდა, მეგობრებთან სალაპარაკოდ ველარ ვიცლი.

— ჰო, მეც მაგრე ვარ, — დაეთანხმა ზურიკო, — დილით სამსახურში მაგვიანდება, საღამოთი — აქციაზე, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— შენ რა გიჭირს, სამსახური მაინც გაქვს...

— შენ კი, — შეაწყვეტინა ზურიკომ, — ისევ უსაქმოდ დახეტიალობ?

— რატომ უსაქმოდ, კოტიკომ ისე დამასაქმა, მთელ დღეს ენაგადმოგდებული დავრბივარ.

— ალბათ ბევრსაც გიხდის, არა?

— ძალიან ბევრს, სად წავიღო ამდენი ფული, აღარც კი ვიცი.

— შაყიროზ, ძველო, — დაეჭვდა მეგობარი, — ეგ ვიღაც კოტიკო საიდან გაიცანი?

— ტელევიზიიდან, პირველ არხში მუშაობდა დასაქმების უფროსად.

— ვა, ეგ აღარ ვიცოდი?

— მააშ, ყოველდღე უთენია ვაკანსიებს აცხადებს და უმუშევრებს ასაქმებს.

— აკი მიშამ დაიქადნა, ხალხი მე უნდა დავასაქმოო?

— რა ქნას, ველარ მოიცალა და ეგ საქმე მთლიანად კოტიკოს გადაულოცა.

— ასეთი რა მოუცლელობა შეეყარა პრეზიდენტს?

— ბევრი არაფერი, უბრალოდ გადასადგომად ემზადება.

— მერე, ოპოზიციამ იცის?

— არა, და არც აგებინებენ.

— რატომ?

— ეშინიათ საიდუმლომ რუსეთში არ გაჟონოს და პუტინმა პრეზიდენტის გადადგომის ჩასაშლელად ახალი ომი არ წამოიწყოს(!?)

— ჰო, მიშა ისეთი ვინმეა, მსოფლიოსთვის მაგის მუშაობაც სარისკოა და გადადგომაც — წაიფილოსოფოსა ზურიკომ, — ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ალბათ კოტიკოც დიდ გაწამაწიაში იქნება.

— რა თქმა უნდა, მაგრამ არ იმჩნევს, სულ ღიღინ-ღიღინით აცხადებს ვაკანსიებს.

— ადგილზე რომ მიდიხართ, იქ როგორღა გვხვდებიან?

— იქაც ღიმილით, მაგრამ რაღ გინდა, სადაც კი ვიყავი, ყველგან უარით გამომისტუმრეს.



— რას იმიზეზებენ?

— რას აღარ. ორწლიანი მუშაობის გამოცდილება უნდა გქონდესო, რუსული და ინგლისური სასწაულად უნდა იცოდეო, კონფლიქტური არ უნდა იყოო, ევროატლანტიკურად უნდა ილიმოდეო...

— შენც გაილიმე, რა გენაღვლება?

— ევროატლანტიკურად, კაცო? საიდან, ჩემო ძმაო, როცა საქართველოს არ გავცილებულვარ? ან ორწლიანი მუშაობის გამოცდილება საიდან გამოვქექო, როცა ჯერ არსად მიმუშავია? ან კიდევ ისეთ კონფლიქტურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მე უკონფლიქტო რომელ თონეში გამოვცხვებოდი?

— რუსული და ინგლისური ენები ხომ მაგრად იცი?

— ჰო, მაგრამ, უაქცენტოდ უნდა ლაპარაკობდეო.

— აქცენტი ვის რას უშლის?

— უცხოელ ინვესტორებსა და ბიზნესმენებს არ მოსწონთ, როცა ადგილობრივები ქართული აქცენტით ესაუბრებიანო. ამას წინათ ისეთ რაღაცას გადავაწყდი...

— რასა, რას? — დაინტერესდა ზურიკო.

— იმ ადგილის დასაკავებლად, რაზეც ვაკანსია იყო გამოცხადებული, სულ ინგლსიურად მოლაპარაკე ვაკანსიანტებმა მოიყარეს თავი, ორგანიზაციას კი ქართულის მცოდნე ესაჭიროებოდა.

— მერე, იქ არ იყავი?

— სწორედ მაგის თქმა მინდოდა, გამესაუბრნენ და დამიწუნეს.

— რატომ?

— ქართულს ინგლისური აქცენტით ლაპარაკობო... თანაც რეკრეატიულად ვერ აზროვნებო.

— ეგ როგორიღა აზროვნებაა?

— ვკითხე, მაგრამ თვითონაც არ იცოდნენ. ლექსიკონში ბევრი ვეძებე ეგ სიტყვა, მაგრამ ვერსად მივაკვლიე.

— ახლა რას აპირებ?

— ავტომანქანის ყიდვას (უმანქანოდ ვაკანსიანტს ახლა დამლაგებლადაც აღარ ილებენ), თორემ კოტიკოს იმდენი ვაკანსია გამოუჩნდა, მათ მოძიებას ფეხით ნამდვილად ველარ აუვალ. რა მენაღვლება, ჩავჯდები ვერცხლისფერ მერსედესში, დღისით ვაკანსიებზე ვირბენ, საღამოთი — დემონსტრაციებზე. ამასობაში დრო გაირბენს, მთავრობა გაფრინდება, ეკონომიკა აძმარდება და პენსიაც წამომეწევა...

**ოტია ჩართოლანი**

**ინფორმაცია**

## შეცდომით გაკეთებულმა ნემსმა ბავშვი იმსხვერპლა

**5 წლის მეგი ხაზიურის მშობლები გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექიმების დასჯას ითხოვენ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების მუხლით გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**

გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მცხოვრები 5 წლის მეგი ხაზიური იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში, დაუზუსტებელი შოკის დიაგნოზით, 2 ივლისს გარდაიცვალა. ბავშვი, რომელმაც 26 ივნისს მეზობლის სახლში მედიკამენტები დალია, იაშვილის კლინიკაში გურჯაანის რაიონული საავადმყოფოდან გადაიყვანეს.

— გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში რომ მივიყვანეთ, ბავშვი გონზე იყო, მაგრამ ექიმები სათანადო ყურადღებას არ გვაქცევდნენ. მერე როგორც იქნა ამორეცხვა ჩაუტარეს და ბავშვი მდგომარეობიდან გამოვიდა, მაგრამ შოკში მას შემდეგ ჩავარდა, რაც ნემსი გაუკეთეს. ამის შემდეგ მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და რეანომობილით თბილისში გადავიყვანეთ, სადაც ხელოვნური სუნთქვის აპარატით 7 დღე იცოცხლა. გურჯაანის საავადმყოფოში ის ნემსი მეორე ბავშვისთვის უნდა გაეკეთებინათ და მეგის შეცდომით გაუკეთეს, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გარდაცვლილის დედამ ანა რუაძემ. ხაზიურების ოჯახი გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექიმების ნიკო ყორღანაშვილის და ოლიკო სარალიძისთვის ექიმად მუშაობის უფლების სასწრაფოდ ჩამორთმევას და მათ დასჯას მოითხოვს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: სამუშაო ადგილზე აღმოაჩინეს, რომ ჩემთვის ანაზღაურების სახით ზედმეტი თანხა გადაუხდიათ. ახლა ამ თანხის უკან დასაბრუნებლად მეორე თვეა ხელფასი აღარ მომცეს. აქვს ბუღალტერიას ამის უფლება?**

**გიორგი გომიაშვილი**

**პასუხი:** არა, ხელფასის შეწყვეტის უფლება არა აქვს. კანონის თანახმად, შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადი დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.



* * *

**კითხვა: ვარ ოთხი თვის ორსული. მიწევს ფიზიკური შრომა, რაც, ვგრძნობ, უარყოფითად მოქმედებს ჩემს ჯანმრთელობაზე. კანონის თანახმად, არის ვალდებული ჩემი დამსაქმებელი დროებით უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადამიყვანოს?**

**ნია გიორგაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

* * *

**კითხვა: 2 თვეში მიწევს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა. ვმუშაობ. არ მინდა სამსახურის დაკარგვა. მაინტერესებს, სამხედრო სამსახურში გაწვევის შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულება შემიწყდება?**

**აბელ თევზაძე**

**პასუხი:** არა, არ შეგიწყდებათ. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, შრომის კოდექსის 36-ე მუხლის 2 პუნქტის ე ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეჩერების (და არა შეწყვეტის) ფუნქცია. აქვე განგიმარტავთ, რომ შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში შრომის ანაზღაურება არ მოგეცემათ.

* * *

**კითხვა: აუცილებელ საჭიროებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გვაცნობოთ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს გაფიცვა და ლოკაუტი?**

**მკითხველი**

**პასუხი:** გაფიცვა ან ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**ხსოვნა**

# თამაზ ლეჟავა



**გარდაიცვალა ცნობილი ქიმიკოსი, რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი თამაზ ლეჟავა.**

ბატონი თამაზ ლეჟავა დაიბადა 1933 წელს ქ. თბილისში. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის სპეციალობით.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თამაზ ლეჟავამ განარძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1995 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 2000 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად.

თამაზ ლეჟავამ გაიარა გზა ლაბორანტიდან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე. 1981-2006 წლებში იყო რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 2006 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა ლევან ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორიას.

პროფესორ თამაზ ლეჟავას გამოქვეყნებული აქვს 130 ნაშრომი, მათ შორის 1 მონოგრაფია, 1 ამოცანათა კრებული, მიღებული აქვს 20-მდე საავტორო მოწმობა და პატენტი. მისი შრომები მიძღვნილია როგორც ელექტროკრისტალიზაციის პროცესის ფუნდამენტური საკითხების, ისე ელექტროქიმიური და არაორგანული ტექნოლოგიების კვლევებისადმი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ელექტროქიმიური დარგის საერთაშორისო ფორუმებში.

მის მიერ შესრულებული შრომები მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს თეორიული ელექტროქიმიის დარგში, რამაც ასახვა ჰპოვა უცხოელ ავტორთა მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში.

თამაზ ლეჟავა, გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, გარკვეულ დროს უთმობდა პედაგოგიურ მუშაობასაც მრავალ სასწავლო დაწესებულებაში, მათ შორის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ხუთი საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი თამაზი მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოს საინჟინრო აკადემიაში. იგი იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. აკადემიაში მოღვაწეობის პერიოდში მან განახორციელა მრავალი ტექნოლოგიური ხასიათის პროექტები ქრომის, სპილენძის და ოქროს ჰიდრომეტალურგიაში. მათ შორის „მადნეულის“ კარიერული წყლების გაწმენდისა და უტილიზაციის მიმართულებით. ბატონი თამაზ ლეჟავა აღიარებული იყო როგორც მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტი ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის დარგში.

პროფესორ თამაზ ლეჟავას 2004 წელს მიენიჭა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია. იგი დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“. მისი ბიოგრაფია შეტანილია შეერთებულ შტატებში გამომავალი მარკუსის მეათე საიუბილეო გამოცემაში.

ბატონი თამაზი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო — შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა, გულისხმიერი მეგობარი, კორექტული ხელმძღვანელი.

ბატონ თამაზ ლეჟავას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი,
მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

**ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მანანა ყიფიანს და მის ოჯახს შვილის**
**თეონა რუსაძის**
**გარდაცვალების გამო.**

---

**ჩიტო, ელგუჯა, ჯემალ აბადოვსკები, თამაზ იმედაძე თანაუგრძნობენ დავით და ლალი ჭანტურიშვილებს დიდებული მამულიშვილის, მწერლისა და დრამატურგის**
**თეიმურაზ (თემო) ჭანტურიშვილის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**ინფორმაცია**

## ალაზანში ახალგაზრდა ბიჭი დაიხრჩო

**ალაზნის სარწყავ არხში 22 წლის ნიკა ჯაჭვაძე დაიხრჩო.**

შემთხვევა ხუთშაბათ საღამოს მოხდა. იგი წყალში შესვლიდან რამდენიმე წუთში გაუჩინარდა. მას ახლობლები და პოლიციის თანამშრომლები მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ.

მისი ცხედარი მხოლოდ გამთენიისას არხში წყლის დონის დაწევის შემდეგ იპოვეს.

## მეწყერი წალენჯიხაში

**ჯვარი-ჩქვალერის მონაკვეთზე მეწყერი ჩამოწვა. სტიქიამ კილომეტრნახევრიანი სიგრძის გზა მთლიანად დაფარა. შედეგად გარესამყაროს წალენჯიხის რაიონის ოთხი სოფელი მოსწყდა — ჩქვალერი, ჯვარი, ნაბოლო და საჩინო.**

მიმდინარეობს საგზაო მონაკვეთის გაწმენდა, თუმცა ადგილზე სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი, რასაც თანხის გამოყოფა ცენტრალური ბიუჯეტიდან სჭირდება. ეს ადგილი მეწყერსაშიშ ზონადაა გამოცხადებული, რადგან მეწყერი გასულ წლებშიც არაერთგზის ჩამოწოლილა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

სულიერება

# პეტრეპავლობა

**12 ივლისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია პეტრე-პავლობას დღესასწაულობს.**



ცნობილია, რომ პეტრე მაცხოვრის სამგზის უარყოფის შემდეგ ღვთის სიტყვის მხურვალე მქადაგებელი და პირმეტყველ ცხოვართა ერთგული მწყემსი შეიქმნა. სულთმოფენობის დღეს მისმა მადლმოსილმა სიტყვებმა სამი ათასი კაცი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

...მოციქულმა პავლემ ბევრი მოაქცია ქრისტიანებად.

მის ქადაგებებს მრავალი სასწაული ახლდა თან.

**უფლის სათნომყოფელნი, პეტრე და პავლე, თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩნენ ქრისტეს სხვა მოწაფეთაგან, რომ ეკლესიამ თავნი მოციქულთანი უწოდა და მათი ხსენება ერთ დღეს დააწესა.**

# სვეტიცხოვლობა

**13 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოვლობას დღესასწაულობს.**

...უფლის კვართმა განწმინდა მცხეთა, აკურთხა მიწა, ადგილი, სადაც შემდგომში ქართველთა ერთობისა და ძლიერების სიმბოლო – სვეტიცხოველი აღიმართა. მას „წმიდათა წმიდა“ ადგილს ეძახიან, ამასთანავე ნიშნავს სიცოცხლის მომნიჭებელ სვეტს.

სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში სამეფო გვირგვინს იდგამდნენ, ქორწინდებოდნენ და იმარხებოდნენ ქართველი მეფენი.

* * *

13 ივლისს არის მოხსენიება 12 მოციქულისა: პეტრესი, ანდრიასი, იაკობისა, იოანესი, ფილიპესი, ბართლომესი, თომასი, მათესი, იაკობისა, იუდასი, სიმონისა და მატათასი.

**გიული ლიპარტია**

ინფორმაცია

## კალიები გაანადგურეს, პირუტყვი კი დახოცეს

**დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებში პირუტყვი მასობრივად იხოცება. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, საქონელი მას შემდეგ დაავადდა, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით, კალიების განადგურების მიზნით, ტერიტორიები ქიმიური ხსნარით შეიწამლა.**

როგორც მცენარეთა დაცვის და ვეტერინარიის დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში განაცხადეს, არსებული მონაცემებით, სოფლებში ფოროსმანსა და საბათლოში 20-ზე მეტი ძროხა დაიხოცა, დაავადებულია საქონლის დიდი ნაწილი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ტერიტორიების შეწამვლა წესების დაცვით მოხდა.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასქ ქ. №19. ტელ: 99-62-77.

დაიჯესტი

## სირბილი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას



**დიდი ხანია, ცნობილია, რომ სპორტში რეგულარული მეცადინეობა, მათ შორის სირბილიც, დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.**

შოტლანდიელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სულ რაღაც 3-წუთიანი ინტესიური გამამხნევებელი ვარჯიში, თუნდაც დღეგამოშვებით, მნიშვნელოვნად ამაღლებს ორგანიზმის უნარს, მოაწესრიგოს სისხლში შაქრის ზედმეტობა. რეგულარული გარბენები ასევე მშვენიერი საშუალებაა დიაბეტის პროფილაქტიკისთვის. იკვლევენ რა ინტენსიური მოკლე გარბენების (სპრინტი და ძუნძული მონაცვლეობით) ეფექტიანობას იმ 16 მოხალისე მამაკაცის მეტაბოლიზმზე, ნაკლებ მოძრავ ცხოვრებას რომ ეწევიან, მედიკოსები მივიდნენ დასკვნამდე: სპორტში ვარჯიში არსებითად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და II ტიპის დიაბეტის განვითარების რისკს. ნებისმიერი ფიზიკური აქტიურობა კვირაში თუნდაც რამდენიმეჯერ, ასევე კეთილსასურველ ეფექტს იწვევს.

## მობილური ტელეფონი სახსრებს ვნებს

**მობილური ტელეფონით ხშირმა ლაპარაკმა, ორთოპედების აზრით, შეიძლება, ხელების სერიოზული დაზიანება გამოიწვიოს.** ყველაზე გავრცელებულია ეგრეთ წოდებული, მობილური



იდაყვი, რაც იდაყვის ნერვის გაჭიმვის შედეგია. დაავადება, შესაძლოა, გამოიწვიოს მოხრილ მდგომარეობაში ხელის დიდხანს გაჩერებამ.

ბოლო ხანებში ძალზე გაიზარდა პაციენტების რაოდენობა დაზიანებული იდაყვის ნერვით. ასეთი დაავადების მძიმე შემთხვევებისას პაციენტებს შეიძლება დასჭირდეთ ქირურგიული ჩარევა.

## ალკოჰოლი ტვინის უჯრედებს ანადგურებს

**ალკოჰოლური სასმელის დალევიდან ექვს წუთში ის ტვინს აღწევს და იწყება მასზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც უჯრედებში ცვლილებებს იწვევს – ამას ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის მეცნიერები აცხადებენ.**

ექსპერიმენტის დროს მათ აღმოაჩინეს, რომ კრეატინის კონცენტრაცია, რაც უჯრედებს იცავს, და-



ეცა ალკოჰოლის გაზრდილი კონცენტრაციის პროპორციულად.

თუ სპირტიანი სასმელის რაოდენობა ძალზე დიდი არ იყო, მაშინ მეორე დღეს ადამიანის ტვინი მთლიანად აღდგება. მაგრამ ტვინის აღდგენითი უნარი თანდათან ქვეითდება, თუ კი ალკოჰოლის გამოყენება დიდი დოზით გაგრძელდება.

## ჭორაობა ჯანმრთელობას რგებს?



**დამტკიცებულია, რომ ჭორების მოყვარულნი უფრო ჯანმრთელნი და ბედნიერები არიან, ვიდრე ისინი, ამას ცუდ საქმედ რომ მიიჩნევენ. მიჩიგანის შტატის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყბედობა ამაღლებს ჰორმონ პროგესტერონის დონეს.** სწორედ ისაა პასუხისმგებელი განგაშისა და სტრესის საწინააღმდეგო მოქმედებაზე. ექსპერიმენტის დროს 160 სტუდენტი ქალიშვილი ორ ჯგუფად გაყვეს. პირველ ჯგუფში ქალიშვილები ერთმანეთში საუბრობდნენ, მეორეში კი ბოტანიკაზე გამოკვლევებს კითხულობდნენ. პირველი ჯგუფის გოგონებს პროგესტერონის დონე აუმაღლდათ ან იმავე დონეზე დარჩათ, იმათ კი, ვინც სამეცნიერო შრომებს კითხულობდნენ, მნიშვნელოვნად შეუმცირდათ.

## ფასტუდმა მიჩვევა იცის

**უამრავი გამოკვლევის შემდეგ ავსტრალიელი სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე – სწრაფი მომზადების საჭმელმა, რომელსაც, როგორც წესი, მაკდონალდსების მსგავს ადგილებში ყიდულობენ, რათა სწრაფად წაიხემსონ, ნარკოტიკების მსგავსად, მიჩვევა იცის.**



მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მავნე ჩვევისგან განთავისუფლება ძალზე რთულია. ცხიმიანმა და ტკბილმა საჭმელმა, შესაძლოა, შეამციროს ტვინის იმ ნაწილის ამთვისებლობა, რომელიც „პასუხს აგებს“ სიამოვნებაზე.

თუკი თქვენ მიირთმევთ ძალზე ბევრს, შემდეგ მოგიწევთ სულ უფრო და უფრო მეტის ჭამა, რათა მიაღწიოთ სასიამოვნო განცდის იმავე დონეს.

მედიკოსები დაჟინებით გვირჩევენ, თავი შევიკავოთ სწრაფი მომზადების საჭმლისგან, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმუმამდე შევამციროთ მისი გამოყენება.

**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

საინტერესოა, რატომ არის ყველა წამალი ასეთი მწარე? აი, თუნდაც, მაგალითად, იგივე არაყი!

* * *

– ქალიშვილო, თქვენ ისე ახალგაზრდულად გამოიყურებით ამ კაბაში!

– ამ კაბაში 50 წლის წინათაც ახალგაზრდულად გამოვიყურებოდი!

* * *



გამოვაცოცხლებთ თქვენი ოფისის მოსაწყენ მუშაობას. საგადასახადო სამსახური.

* * *

რა კარგი იქნებოდა, ჩვენი მეზობლები ყრუ-მუნჯი რომ იყვნენ. არც ისინი მოუსმენდნენ მაღალ ხმაზე ჩართულ მაგნიტოფონს და არც ჩვენი სკანდალები შეაწუხებდათ.

* * *

– მიხო, ცოლისთვის „პროტივოგაზი“ რად ჩამოგიფხატავს?

– ჯერ ერთი, ასე იგი ხმას არ იღებს. მეორეც, მისი სიფათის დანახვა არ მალიზიანებს და, მესამეც, სექსის დროს კლაპანს თუ გადავუკეტავ, ცოტათი მაინც გაინძრევა!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.